საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

პარასკევი, 2 მარტი. 2018 წ. №44 (8445), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პროდასავლურმა პოლიტიკამ და ნატოსკენ სწრაფვამ შეაფერხა საქართველოს განვითარება

იხ. 3 გვ.

ქვეყანას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს!

საზოგადოებისა და კულტურის სფეროს რამდენიმე წარმომადგენელმა საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსს და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიმართეს. მიმართვას, რომელსაც ხელს აწერენ: **რობერტ სტურუა, რეზო ამაშუკელი, ქეთი დოლიძე, ელიზბარ ჯაველიძე, თამაზ წივწივაძე, გოგი ქავთარაძე, გოგი ხარაბაძე, ჯონდი ბაღათურია და თემო გოცაძე,** ნათქვამია, რომ საქართველოს გაცხადებულმა მიზანმა, გახდეს ნატოს წევრი, ქვეყანას რუსეთთან პრობლემები შეუქმნა.

ქართულმა მხარემ პროტესტის ნიშნად ერგნეთის შეხვედრა დატოვა

გუშინ ერგნეთში მიმდინარე შეხვედრა ოფიციალური თბილისის წარმომადგენლებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს. ტერიტორია უკომენტაროდ დატოვეს საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლებმა. შეხვედრა, სადაც ცხინვალის ციხეში მოკლული არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოსვენების საკითხზე თითქმის 4 საათის განმავლობაში მსჯელობდნენ, უშედეგოდ დასრულდა.

* * *

სუს-ის ანალიტიკური სამსახურის უფროსის მოადგილის კახა ქემოკლიძის განცხადებით, ერგნეთში შეხვედრაზე ორი ძირითადი საკითხი დაისვა, ეს შეეხებოდა არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოსვენებასა და იმ ორი მოქალაქის საკითხს, რომლებიც ოკუპირებულ ცხინვალში იმყოფებიან.

„სამსაათნახევრიანი დისკუსიის შემდეგ, ვერც ერთ კითხვაზე მკაფიო პასუხი ვერ მივიღეთ. ამ ყველაფრის მოსმენის შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ დაგვეტოვებინა სხდომა. ჩვენ მზად ვართ, გავაგრძელოთ ყველა სხვა მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა, მაშინ, როდესაც ტატუნაშვილის ცხედარი დაუბრუნდება თავის ოჯახს და იმ ორ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმყოფება ოკუპირებულ ახალგორში, მიეცემა ტერიტორიაზე გადმოსვლის საშუალება“, – განაცხადა ქემოკლიძემ.

ოჰ, ეს გამაღიზიანებელი, დაგმანული „ღია კარის“ პოლიტიკა“!

8

მკვლელები აუცილებლად დაისჯებიან!

იხ. 4 გვ.

მამუკა არეშიძე:

დაახლოებით 15 პოლიციელი მონაწილეობდა ტატუნაშვილის მკვლელობაში, აქედან 5-6 კაცი არაფხიზელ მდგომარეობაში იყო

ვლადიმერ პუტინი: ახალი სისტემის იარაღის შექმნამდე არავინ გვისმენდა, მოგვისმინეთ ახლა!

SOS!

ვლადიმერ პუტინმა რუსეთის ახალ სარაკეტო შეიარაღებაზე ისაუბრა, რომელსაც, მისი თქმით, მსოფლიოში ანალოგი არ ჰყავს.

პრეზიდენტმა ფედერალურ საბჭოს სტრატეგიული სარაკეტო შეიარაღების პერსპექტივა წარუდგინა. მან ხაზი გაუსვა, რომ ახალი იარაღი შექმნილია აშშ-ის მთავრობის მიერ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის გაფართოების საპასუხოდ. პუტინი მიიჩნევს, რომ რუსეთში შექმნილი იარაღი ნატოს გაფართოებას აზრს უკარგავს.

„თანამედროვე სისტემის შეიარაღების განვითარების ყველაზე მთავარ ეტაპად იქცა მაღალი სიზუსტის, ჰიპერხმოვანი საჰაერო-სარაკეტო კომპლექსის შექმნა. ალბათ, ხვდებით, რომ მას ანალოგი არ ჰყავს მსოფლიოში. მისი გამოცდა წარმატებით დასრულდა“, – განაცხადა ქვეყნის ლიდერმა.

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა დაასრულა ამ თემაზე საუბარი, აღნიშნა, რომ „ჩვენ აქამდე არავინ გვისმენდა. მოგვისმინეთ ახლა!“ ეს სიტყვები საინფორმაციო წყაროებმა მიიღეს როგორც მსოფლიოს მიმართ შესაძლო მუქარა.

ცოტა ხნის წინათ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის ახალი რაკეტის გაშვება წარმატებით დასრულდა. მისი გამოცდა ყაზახეთში, „Sary Shagan“-ის პოლიგონზე მოხდა.

მითაო, სპორტით სარ ძლიერი...

10

კახა კალაძე: ჩემი მიზანია, განვახორციელოთ საფუძვლიანი და არა ფასადური ცვლილებები

დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ საზოგადოებას საქმიანობის 100 დღის ანგარიში გააცნო. ანგარიში დედაქალაქში ბოლო სამი თვის განმავლობაში განხორციელებულ მნიშვნელოვან პროექტებსა და ცვლილებებს ეხება.

„ჩემი მიზანია, განვახორციელოთ საფუძვლიანი და არა ფასადური ცვლილებები. სწორედ ამიტომ, დავიწყეთ თითოეული მიმართულების ანალიზით, რათა მტკიცებულებებზე დაფუძნებით შეგვემუშავებინა და გაგვეტარებინა დედაქალაქის მერიის და მისი თითოეული სამსახურის პოლიტიკა და სტრატეგია. განვახორციელეთ სტრუქტურული რეფორმა, რომლის მიზანიც მოქალაქეებზე ორიენტირებული მოქნილი მმართველობის განხორციელებაა. ასევე, დავიწყეთ და გამოვაცხადეთ რეორგანიზაცია, რომელიც უკვე დასრულდა, თუმცა სსიპ-ებში, ა(ა)იპ-ებში და შპს-ებში მეორე ეტაპი იწყება, რომელიც ასევე, ღიად და გამჭვირვალედ განხორციელდება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, რეფორმის შედეგად, შეიქმნა ურბანული განვითარების სამსახური, რომელიც ქალაქის სწორ ურბანულ განვითარებაზე იქნება ორიენტირებული. აღნიშნულ სამსახურში დედაქალაქის განვითარების პოლიტიკის შემუშავება მოხდება.

„აღნიშნული სამსახურის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ ქალაქი უნდა განვავითაროთ, ავაშენოთ, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ სწორად და ხარისხიანად. ასევე, გაძლიერდა გარემოს დაცვის მიმართულება, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რათა „მწვანე ქალაქის“ კონცეფცია განვავითაროთ და არსებული ეკოლოგიური მდგომარეობა გავაუმჯობესოთ“, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძის განცხადებით, ბოლო პერიოდის განმავლობაში, ასევე, განხორციელდა ბინათმესაკუთრეებათა ამხანაგობის დაფინანსების რეფორმა. აღნიშნული მიმართულებით კი, დაახლოებით, 30 მლნ ლარი დაიხარჯება.

დედაქალაქის მერის საქმიანობის 100 დღის ანგარიში შვიდ ძირითად მიმართულებას — ურბანული განვითარების, სატრანსპორტო, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, განათლების, კულტურის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და ახალგაზრდობის, ასევე, მართვის პოლიტიკას მოიცავს.

კორეული კორპორაციები საქართველოში ინვესტირებით ინტერესდებიან

პირველი ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი მსხვილი კორეული კორპორაციის „SKE&C“-ის აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტსა და რეგიონალურ მმართველ დირექტორს სეუნგ სუ ლის და მის თანმხლებ პირებს შეხვდა.

შეხვედრას ასევე დაესწრო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩერქეზიშვილი. შეხვედრაზე კორეელმა სტუმარმა გამოხატა ინტერესი საქართველოს ეკონომიკის ცალკეული სექტორების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა თანამშრომლობის დაწყებაზე ენერგეტიკის, კერძოდ კი, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიმართულებით.

გარდა ამისა, კორეული მხარე დაინტერესდა საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით, რომელიც მთელ რიგ ბაზრებზე საქართველოში წარმოებული პროდუქციის შეღავათიანი პირობებით ექსპორტის შესაძლებლობას იძლევა. გამოითქვა მოსაზრება, რომ კორეული მხარე შეისწავლის ამ შესაძლებლობას საქართველოში წარმოების გახსნის მიმართულებით. კიდევ ერთი სექტორი, რომლის მიმართაც კორეული კორპორაციის წარმომადგენლებმა ყურადღება გაამახვილეს, სასტუმრო ინდუსტრიაა.

მელიამ და გაბუნიამ ერთმანეთს შეუტიეს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მიმდინარე მოვლენების განხილვას დაპირისპირება მოჰყვა პარლამენტში რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის სხდომაზე.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაზა გაბუნია „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთ ლიდერს ნიკა მელიას დაუპირისპირდა. გაბუნიამ ბორჯომის საკრებულოში განვითარებულ მოვლენებში „ენმ“ და „ევროპული საქართველო“ დაადანაშაულა: **„ბორჯომში მოვლენების ესკალაციას საფუძველი დაუდო თქვენმა და სერგო რატიანის ჩასვლამ და იქ საკითხისთვის პოლიტიკური ხასიათის მიცემამ“,** — განაცხადა გაბუნიამ

„ზაზა, პირდაპირ გეტყვი, რომ უნამუსო ხარ. დღის 12:00 საათზე უმოწყალოდ იყო ნაცემი საკრებულოს დეპუტატი. მას შემდეგ, რაც დეპუტატები გამოკეტეს და ტყვეობაში აიყვანეს, ამის შემდეგ ჩავედი. არ გრცხვენია, მაგას რომ ამბობ, რომ თურმე მე ვყოფილვარ ესკალაციის ფაქტორი. დეპუტატები რომ არ ჩავსულიყავით, სისხლიც დაიღვრებოდა და შეიძლება, ვიღაც საერთოდ ფიზიკურად განადგურებულიყო“, — განაცხადა ნიკა მელიამ.

ბორდმა რატიანის საქმეზე „პირველ არხს“ ეთიკური დარღვევები არ დაუდგინა

ზვიად რატიანის დაკავებისას შსს-ს ვიდეოს გავრცელების გამო, საზოგადოებრივი მაუწყებლის საეთერო საბჭომ „პირველ არხს“ არც სიძულვილის გაღვივება და არც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა არ დაუდგინა. მაუწყებლის მიერ დარღვევების დადგენას ბორდის მხოლოდ ორმა წევრმა— ქეთი მსხილაძემ და ირინა ფუტკარაძემ მისცა ხმა.

„ამ მასალის გაშვების გამართლება იმით, რომ დრო იყო მცირე, არ არის სწორი. ოპერატიულობამ პროფესიული ეთიკა არ უნდა გადაწონოს. წამყვანის ტექსტი და კადრებიც არ ეწყობოდა ერთმანეთს. ეს კადრები აძლიერებდა ზვიად რატიანის შესახებ უარყოფით აზრს და მისი ადვოკატის კომენტარსაც აზრი ეკარგებოდა. ეს სიუჟეტი შესწავლილი მაქვს დეტალურად და მიმაჩნია, რომ დარღვეული იყო ჯეროვანი სიზუსტე,“ — ამბობს ქეთი მსხილაძე.



მოსამართლეთა უვადოდ გამწესების პროცედურა იცვლება

სპანდალური მოსამართლეების უვადოდ გამწესების შემდეგ, რაც მთავრობის ხელმძღვანელის და საზოგადოების პროტესტის საფუძველი გახდა, ცნობილი ხდება, რომ მოსამართლეთა უვადოდ გამწესების პროცედურა იცვლება. სამუშაო ჯგუფი უახლოეს პერიოდში წარმოადგენს მოსამართლეთა უვადოდ გამწესების ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებულ საკანონმდებლო წინადადებებს.

უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე, რომელიც მედიასთან კომენტარს არ აკეთებს, ტრადიციას არც ახლა არღვევს და განცხადებას ავრცელებს. გვენეტაძის განცხადებაში აღნიშნულია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2017 წლის 23 მაისს დამტკიცებული სასამართლო სისტემის ხუთწლიანი სტრატეგიით, საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნის, უვადოდ გამწესების სრულყოფილი სამართლიანი და გამჭვირვალე პროცედურების უზრუნველყოფის ვალდებულება იკისრა.

„საერთო სასამართლოების კორპუსი, საკანონმდებლო ორგანოს მაღალი ინტერესის გათვალისწინებით იმედოვნებს, მომავალზე გათვლილ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი ახალი საკანონმდებლო განაწესის უახლოეს მომავალში მიღებას, თანამდებობაზე 3 წლის ვადით გამწესებული მოსამართლის უვადოდ გამწესების წესთან დაკავშირებით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ უზრუნველყოფილი იქნება საკანონმდებლო ნოვაციების ზედმიწევნით შესრულება მოსამართლეთა უვადოდ გამწესების პროცესში“, — ნათქვამია ნინო გვენეტაძის განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ნინო გვენეტაძეს ამ დრომდე ხელი არ მოუწერია სკანდალური მოსამართლეების — მანუჩარ კაპანაძის; გიორგი გოგინაშვილის; თამარ ალანიას; შოთა გეწაძის; ილონა თოდუას; მანანა ჩოხელის; მიხეილ ჩინჩალაძეს უვადოდ გამწესების განკარგულებაზე. მოქმედი კანონმდებლობით ნინო გვენეტაძის უფლება აქვს, ხელი არ მოაწეროს მათ დანიშვნას. რა გადაწყვეტილებას მიიღებს ნინო გვენეტაძე, რომელმაც თავად ამცნო საზოგადოებას, რომ ძალადობის მსხვერპლია, ჯერჯერობით უცნობია.

მოსამართლეთა უვადოდ გამწესების კუთხით დაგეგმილი ცვლილებების შესახებ კონკრეტული მიმართულებები მომავალ კვირას გახდება ცნობილი. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში დღეს ღიად საუბრობენ მოსამართლეთა უვადოდ გამწესების საკითხზე ცვლილებების საჭიროებაზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრის დიმიტრი გვრიტიშვილის განცხადებით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი, რომელიც საგამოცდო ვადის შემდეგ მოსამართლეთა უვადოდ გამწესებას გულისხმობს, ცვლილებებს საჭიროებს და ამას საბჭოც აღიარებს.

„ცვლილება მოსამართლედ დანიშვნის პროცედურის დახვეწას და გაუმჯობესებას გულისხმობს. ჩვენ ასე გავიგეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ინიციატივა, რომ კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები უნდა განხორციელდეს და ამას ჩვენც ვაღიარებთ. სამუშაო ჯგუფიც აღიარებს, რომ საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 794 მუხლი, რომელიც შეეხება სწორედ საგამოცდო ვადით დანიშნული მოსამართლეების უვადოდ გადანიშვნას, ოღონდ, ისეთი მოსამართლეების, რომელთაც სამოსამართლო უფლებამოსილების არანაკლებ სამწლიანი მუშაობის გამოცდილება აქვთ, საჭიროებს დახვეწას.

ცვლილებების მომზადების პროცესში სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ჩართული არ არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ანა დოლიძე, რომლის განცხადებით, ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს ის, რომ უვადოდ მოსამართლე მხოლოდ საბჭოს ყველა წევრის თანხმობის შემთხვევაში გამწესდეს. მისივე თქმით, აუცილებელია, რომ საბჭოს საქმიანობა მოწესრიგდეს ყველა მიმართულებით — მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს საბჭოს თხუთმეტივე წევრის თანხმობა.

იურისტ ლევან ალაფიშვილის შეფასებით, სამწუხაროა, რომ მართლმსაჯულების სისტემის პირველმა პირმა, რომელმაც ცოტა ხნის წინათ თვითონ გამოაცხადა, რომ არის ძალადობის მსხვერპლი, მხოლოდ მას შემდგომ დაიწყო ამ თემაზე მსჯელობა, რაც დაახლოებით 100-მდე მოსამართლე უკვე გამწესდა უვადოდ. ალაფიშვილის შეფასებით, ეს გარკვეულწილად არაპირდაპირი აღიარებაა იმ საკითხისა, რომელზეც მიუთითებდა არაერთი პროფესიონალი გულშემატკივარი.

იურისტი ფიქრობს, რომ ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული ქართული რეალობიდან გამომდინარე და არა იმის მიხედვით, თეორიაში რა მუშაობს კარგად.

თამთა ქარჩავა

სიტყვას ძალა აქვს, ჩემო მეგობრებო - მტრის ტანკებზე მეტი ძალა!

ისევ „სამხრეთ ოსეთი“?

სიტყვას ძალა აქვს, ჩემო მეგობრებო. მტერზე და ტანკებზე მეტი ძალა.

რით ვეღარ გავიგეთ, რომ მხოლოდ ხელოვნური, ისტორიულ საფუძველს მოკლებული ტერმინი კი არა, მავნე, საშიში, სახელმწიფოსა და მისი მომავლის დამანგრეველი ორი სიტყვის კომბინაციაა!

მტრის შექმნილი, ვერაგი მიზნებისთვის, დაძაბუნებისთვის, დაბეჩავებისთვის, ძირის გამოთხრისთვის და რეალობასთან შეგუებისთვის! აკი გამოსდით... დიახ, გამოსდით, ვიდრე ასიათასობით ქართველი ამას იმეორებს, ვიდრე პოლიტიკოსებიც კი (!) წარამარა ამ ტერმინს არახუნებენ.

რაის სამხრეთ ოსეთი შუაგულ ქართლში? შიდა ქართლის გულში? გულის გულის გულში?

ჩვენ თავში ამ ორ სიტყვას ვერ მოვრევივართ და რაზე ვსაუბრობთ? წაგებული ომების ეპოქაში ეს ომი მაინც ხომ შეგვიძლია მოვიგოთ? სულ ორ სიტყვასთან ომი.

* * *

აქ მცირე განმარტებას ჩავურთავ:

არც „სამაჩაბლო“ გახლავთ სწორი ტერმინი, რადგან ეს სათავადო სრულად არ მოიცავდა საბჭოელთა მიერ შექმნილი „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“ ტერიტორიას. მაგალითად, მისი აღმოსავლეთი ნაწილი ქსნის საერისთავო გახლდათ (რომ აღარაფერი ვთქვათ სოციალური ტერმინის ხმარების მიზანშეუწონლობასა და იმ გარემოებაზე, რომ ეს მხოლოდ გვიანი შუა საუკუნეების რეალობაა).

ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიას, ერთად აღებული, არც არაფერი რქმევია. ის მხოლოდ ნაწილი იყო ქართლის უმნიშვნელოვანესი ნაწილისა — შიდა ქართლისა. აქედანაც ჩანს ოლქის, როგორც ცალკე წარმონაქმნის, ხელოვნურობა. ის რუსმა დამპყრობლებმა შექმნეს არა ისტორიულ-გეოგრაფიულ კანონზომიერებებსა და ტრადიციებზე დაყრდნობით, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ეთნიკური ნიშნით (ცხინვალშიც კი ოსები თითქმის არ ცხოვრობდნენ), არამედ მხოლოდ და მხოლოდ იმპერიალისტური ლოგიკით: გაგლიჯე და იბატონე!

* * *

მაშ, რა ვქნათ?

ორი ძირითადი გზაა:

1) ხელოვნურად შექმნილ მავნე ტერმინს ასევე ხელოვნური, მაგრამ უვნებელი „ცხინვალის რეგიონი“ დავუპირისპიროთ.

2) როცა კონტექსტი საშუალებას გვაძლევს, ამგვარი ფრაზა ვიხმაროთ: „შიდა ქართლის ნაწილი“.

მეტი რაღა უნდა მოხდეს, რომ თვალები მოვიფშვნიტოთ?

სიტყვას ძალა აქვს, მეგობრებო, ტანკებსა და ბომბდამშენებზე მეტი ძალა.

რაის სამხრეთ ოსეთი შუაგულ ქართლში? გულის გულის გულში?

გუგა კუდავა

ქვეყანას მხოლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონდეს!

პროდასავლურმა პოლიტიკამ და ნატოსკენ სწრაფვამ შეაფერხა საქართველოს განვითარება

(პირველი გვერდიდან)

„გვაქვს პატივი გაცნობოთ, რომ საქართველო უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა. პირველი ქართული სახელმწიფო, კოლხეთის სამეფო 3 500 წელზე მეტი ხნის წინათ შეიქმნა და მას შემდეგ ქართველები, მსოფლიოს სხვა, ძველ და შედარებით ახალგაზრდა ერებთან ერთად ქმნიან მსოფლიო ცივილიზაციას, მეცნიერებასა და კულტურას, თავგანწირვით იბრძვიან ენის, მამულისა და სარწმუნოების გადასარჩენად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად.

ამ ხანგრძლივი ბრძოლის გზაზე გვქონია დანაკარგები და დაკარგულიც დაგვიბრუნებია, გვყოლია ურიცხვი მტერი და სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეებიც, რომლებისთვისაც ჩვენ, ქართველებს, არასდროს გვიღალატია.

ოთხმოციანი წლების მიწურულს, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველო ყველაზე მძლავრი ეკონომიკის მქონე რესპუბლიკას წარმოადგენდა, მისი ხალხი მდიდარი იყო და მოსახლეობის რაოდენობა 5,5 მილიონს შეადგენდა.

პროდასავლურმა პოლიტიკამ და ქართველების სწრაფვამ ნატოს სამხედრო ალიანსისკენ გაართულა საქართველოს ურთიერთობები მეზობელ რუსეთთან და სწორედ ამან განაპირობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, შექმნა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და შეაფერხა ქვეყნის განვითარება, ხალხი გაღატაკდა და მოსახლეობის რაოდენობა 4 მილიონზე დაბლა ჩამოვიდა.

მიუხედავად ამისა, ქართველებს არც ერთხელ არ უღალატია ნატოს წევრი სახელმწიფოების სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებისთვის, რასაც ვერ ვიტყვით თავად სამხედრო ალიანსზე.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ, მოსახლეობის უდიდეს ნაწილში არის დიდი იმედგაცრუება. თუმცა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა აშშ-ის საელჩოს და მათ მიერ წარმოდგენილი ექსპერტის, ბატონი ლუკ კოფის შემოთავაზებამ, საქართველოს გაწევრიანებაზე ნატოში, ალიანსის წესდების მე-5 და მე-6 მუხლების, ანუ უსაფრთხოების გარანტიების გარეშე. საქართველომ, ცალმხრივად, ბოლო 30 წლის განმავლობაში საკმაოდ დიდი მსხვერპლი გაიღო ნატოსთან პარტნიორობის გამო, მიგვაჩნია რომ მოკავშირეობა ორმხრივი უნდა იყოს, ამიტომ შემოთავაზება უკიდურესად არაკორექტულია და არ შეეფერება მოკავშირეებს შორის ურთიერთობებს.

უფრო მეტიც, გაიზრდება რისკები და სამხედრო კონფლიქტის საფრთხე დაემუქრება ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიებსაც, ხოლო ასეთ შემთხვევაში როგორ დახმარებას შეიძლება ველოდოთ, ჩვენ უკვე გვაქვს 2008 წლის გამოცდილება.

ნატო სამხედრო ალიანსია, მისი წევრობა, პირველ რიგში სწორედ უსაფრთხოების გარანტიების ილუზიის გამო იზიდავდა საქართველოს მოსახლეობას და თუ ეს გარანტიები არ გავრცელდება აფხაზეთსა და ცხინვალზე, მაშინ საინტერესოა, რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ამ გაწევრებამ ხალხს და სახელმწიფოს“, — ნათქვამია მიმართვაში.

ბურჭულაძის მეუღლის დასაკითხავად ხარჯები სახელმწიფომ უნდა აანაზღაუროს

ფონდ „იავნანას“ ფინანსური საქმიანობის შესახებ დაწყებული გამოძიების ფარგლებში პაატა ბურჭულაძის მეუღლეს დაკითხავენ. ანჟელა ვასილენკოს დაკითხვა გერმანიაში მოხდება, რადგან ის გერმანიის მოქალაქეა, თუმცა მანამდე საქართველოს პროკურატურას მისი ვიეტნამიდან გერმანიაში ჩასვლისა და მივლინების ხარჯების ანაზღაურება მოუწევს. ვასილენკო გარკვეული პერიოდის მანძილზე ფონდის საქმიანობაში იყო ჩართული.

,,სათანადო უწყება უნდა გაეგზავნოს სათანადო წესით მოწმის სახით გამოკითხვის თაობაზე, უნდა აანაზღაუროს სახელმწიფომ მგზავრობის ხარჯები, მისი მოცდენის ხარჯები და ამგვარად დარეგულირდება ეს საკითხი. თავად ქალბატონი ანჟელა მზად არის ითანამშრომლოს გამოძიებასთან“ — ამბობს ადვოკატი სოსო ბარათაშვილი.

ჩაბუქის ადგილსამყოფელი გასაიდუმლოებულია

დემირელის კოლეჯის მენეჯერი მუსტაფა ემრე ჩაბუქი დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართეს. ჩაბუქი ოჯახთან ერთად ცხოვრობს, თუმცა მის საცხოვრებელთან დაკავშირებით ინფორმაცია გასაიდუმლოებულია.

მუსტაფა ემრე ჩაბუქმა დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის მოთხოვნით, პროკურატურას 23 თებერვალს მიმართა. ჩაბუქი აცხადებდა, რომ არსებობდა საფრთხე, რაზეც ხმამაღლა და დაწვრილებით ვერ ისაუბრებდა, თუმცა საჭიროება იყო, რომ ისიც ჩართულიყო სახელმწიფო დაცვის პროგრამაში, ისევე როგორც მისი ოჯახის წევრები იყვნენ ჩართული.

პირველადი ჯანდაცვის პროგრამა კრიტიკას ვერ უძლებს

პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის აკაკი ზოიძის შეფასებით, ჯანდაცვის სისტემის ყველაზე დიდი ჩავარდნა პირველადი ჯანდაცვაა.

„პირველადი ჯანდაცვა თავიდან ბოლომდე ჩავარდნილია. მსოფლიოში არ არის განვითარებული ქვეყანა, სადაც პირველად ჯანდაცვაზე მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლება ზრუნავს. ადამიანთან უფრო ახლოს არის მუნიციპალური ხელისუფლება, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია იყოს კარგი კოორდინაცია. საჭიროა ერთობლივი მუშაობა პირველადი ჯანდაცვის კარგი მიმართულებით ჩამოყალიბებზე და შედეგზე ორიენტირებული დაფინანსება“,— განაცხადა აკაკი ზოიძემ კომიტეტის სხდომაზე.

ტურისტებისთვის, თურქე, სიგარეტის ბოლით გაბუღული კაფეები პრობლემას წარმოადგენს

ეკონომიკური გათვლები, რაც ასეთი ტიპის კანონის მიღებას სჭირდებოდა, თავიდანვე გაკეთდა და ილუზიაა, თითქოს კანონს ნეგატიური ეკონომიკური ეფექტი ექნება, — ამის შესახებ ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევის აკრძალვის თემაზე საუბრისას, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განაცხადა. ზოიძის განმარტებით, კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა 8%—მა განაცხადა, რომ სამასპინძლო ობიექტებში აღარ ივლის, მაგრამ 17%-მა, ანუ 2-ჯერ მეტმა თქვა, რომ აქამდე არ დადიოდა, მაგრამ ობიექტებზე მოწევის აკრძალვის შემთხვევაში ივლის.

„ასევე მნიშვნელოვანია ტურიზმის პოტენციალის ზრდა, რასაც შემოსავალი 250 000 ოჯახისთვის მოაქვს. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ტურისტები მოძრაობის წესების დარღვევასთან და ნაგვის საკითხთან ერთად, პრობლემად ასახელებენ გაბუღულკაფეებსა და რესტორნებს, თუ რატომ აღარ ჩამოვლენ საქართველოში. ასე რომ, კანონის ამოქმედების შემდეგ ტურისტული ბიზნესიდან შემოსავლები გაიზრდება“, — განაცხადა აკაკი ზოიძემ.

მამუკა არეშიძე:

მკვლელები აუცილებლად დაისჯებიან!

დაახლოებით 15 პოლიციელი მონაწილეობდა ტატუნაშვილის მკვლელობაში, აქედან 5-6 კაცი არაფხიზელ მდგომარეობაში იყო

კიდევ ერთხელ მთავარზე: 22 თებერვალს, საოკუპაციო რეჟიმმა საქართველოს 3 მოქალაქე — არჩილ ტატუნაშვილი, ლევან ქუტაშვილი და იოსებ პავლიაშვილი ახალგორში დააკავა. იმავე საღამოს ტატუნაშვილი ცხინვალის მიმართულებით წაიყვანეს. 23 თებერვალს კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ არჩილ ტატუნაშვილი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. სეპარატისტული რეჟიმი ამტკიცებს, რომ ტატუნაშვილის სიკვდილი გულის უკმარისობამ გამოიწვია, რაც ე.წ. ოსურმა წინასწარმა ექსპერტიზამ დაადასტურა. ქართველი მეომრის გარდაცვალების ეს ვერსია სარწმუნო არ არის ოფიციალური თბილისისთვის, რომელიც ცხედრის დაუყოვნებლივ გადმოცემას ითხოვს.

არსებული ინფორმაციით, ტატუნაშვილის წამებაში დაახლოებით 15 პოლიციელი მონაწილეობდა, მათ ნაწილი არაფხიზელ მდგომარეობაში იყო, რომლებიც ფიზიკურად გაუსწორდნენ ბორკილებდადებულ ქართველ მეომარს, რაც მისი სიკვდილის მიზეზი გახდა. ამ ინფორმაციას for.ge-სთან საუბრისას ადასტურებს სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი **მამუკა არეშიძე**.

— რუსული და ოსური მედია არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების ერთადერთ მიზეზად გულის უკმარისობას ასახელებს. თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია, რა მოხდა 23 თებერვალს და რატომ ჭიანურდება ცხედრის გადმოსვენება?

— ცხედარი ძალიან დაზიანებულია. არ უნდათ, არ აწყობთ საერთაშორისო სკანდალი. ვერ უარყოფენ იმას, რომ საქართველოს მოქალაქეები ნამდვილად მათმა სამართალდამცავებმა დააკავეს, მათი სამართალდამცავების ასეთი საქციელი კი პირდაპირ ურტყამს რუსეთის პრესტიჟს, რომელიც პასუხისმგებელია ოკუპირებულ ტერიტორიაზე. რასაკვირველია, ამ საერთაშორისო ზეწოლის პირობებში არ უნდათ ცხედრის გადმოცემა და ფაქტის გასაჯაროება.

თუმცა, არ გამოვრიცხავ კიდევ ერთ მიზეზს, კერძოდ — ქართული მხარის განსაკუთრებული გაღიზიანება და პროვოკაციაზე წამოგების მიზანს. საქმე ისაა, რომ თვითონ ტატუნაშვილის ამბავია უცნაური იმ თვალსაზრისით, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, მით უმეტეს უფრო პატარა არის ცხინვალის რეგიონი, ამიტომ, პირველი — ყველამ ძალიან კარგად იცოდა, რომ ტატუნაშვილი არ მონაწილეობა 2008 წლის აგვისტოს ომში. როდესაც ეს ჯგუფი ერაყიდან დაბრუნდა, საომარი მოქმედება უკვე დამთავრებული იყო. მეორე — ყველამ იცოდა, რომ ტატუნაშვილი წარსულში იყო თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი და ისიც ძალიან კარგად იცოდნენ, რა ტიპის ჯარში მსახურობდა.

— ასე დეტალურად თუ ფლობდნენ ტატუნაშვილის შესახებ ინფორმაციას, მაშინ რატომ დააკავეს ახლა და რა მოტივით გაუსწორდნენ ასე სასტიკად?

— მე ვფიქრობ, რომ მისი ახლა დაკავება და ასე სასტიკად მოპყრობა მიუთითებს, ერთი მხრივ, მოსკოვის წინაშე თავის გამოჩენის მოტივზე, ხოლო, მეორე მხრივ, ეს იყო საქართველოს მხარის პროვოკაციაზე წამოგების სურვილი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რომელზეც არ არის ლაპარაკი და ვფქრობ, რომ ამ მიმართულებით აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ და არ გამოვრიცხავ იმას, რომ მათ მიიღეს ბრძანება პროვოკაციაზე წამოეგოთ ქართული მხარე. მაგრამ ისე გააკეთეს, რომ ქართული სამსახური გაუწიეს რუსულ მხარეს. ახლა ძალიან რთულია რუსებისთვის, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებში თავი იმართლონ.

— როდესაც საუბარია შესაძლო პროვოკაციაზე და მით უფრო წინასწარ არსებულ სცენარზე, რამდენად მნიშვნელოვანია ახლა ქართული მხარის სიდინჯე, რომ კიდევ ერთხელ არ გავხდეთ პროვოკაციის მსხვერპლი? მით უმეტეს, რომ საოკუპაციო რეჟიმი მთელი ძალით აკვირდება ახლა მიმდინარე პროცესებს...

— მესმის ოჯახის მდგომარეობა, მაგრამ ოჯახს კარგად უნდა აეხსნას, რა ხდება და, რომ ოკუპანტები სწორედ ჩვენგან დაშვებულ პროვოკაციას დარაჯობენ, ამისთვის ემზადებიან. რამდენადაც მაქვს ინფორმაცია, მესაზღვრეებს უკვე მისცეს შესაბამისი ბრძანება, რომ ქართული მხრიდან აღკვეთონ სავარაუდო პროვოკაცია. ამიტომ ახლა საჭიროა პაუზა. თუ იქნება პოლიტიკური ნება, მერწმუნეთ, რომ ტატუნაშვილის მკვლელები ვერსად ვერ დაიმალებიან. ცხელ გულზე გადაწყვეტილების მიღება და რაღაცა ნაბიჯების გადადგმა არ იქნება სწორი.

— მურატ ჯიოევი საუბრობს იმაზე, რომ ტატუნაშვილის გარდაცვალებამ არ უნდა შეიძინოს პოლიტიკური ელფერი და კიდევ უფრო არ გაართულოს ცხინვალსა და საქართველოს შორის ურთიერთობა...

— აფხაზებისგან განსხვავებით, ცხინვალის პოლიტიკური ისტებლიშმენტის დონე უკიდურესად დაბალია, თანაც იმდენად დაბალი, რომ უხერხული მდგომარეობაც კი იქმნება ხოლმე. მათ შორის ერთ-ერთი არის ჯიოევი. აბსოლუტურად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რა განცხადება გააკეთა ჯიოევმა. მაგრამ ის, რომ ზედმეტი მოუვიდათ, ამას კარგად აცნობიერებენ და ახლა არ იციან, როგორ გამოვიდნენ მდგომარეობიდან.

ზედმეტში ვგულისხმობ არა მკვლელობას, არამედ მკვლელობის დრამატურგიას, ანუ როგორ მოხდა ეს მკვლელობა. არ მინდა დეტალებზე საუბარი, მაგრამ ჩემთვის ცნობილია, როგორ მოიქცნენ და რა მდგომარეობაში ჩააგდეს ტატუნაშვილი. საშინლად მოექცნენ ამ ახალგაზრდას, რომელიც მართლაც უაღრესად ვაჟკაცურად იქცეოდა.

თავიდან მოულოდნელობის ფაქტორი იყო, მაგრამ როგორც ჩანს, მერე მიხვდა, რაშიც იყო საქმე. დაახლოებით 15 პოლიციელი მონაწილეობდა ამ მკვლელობაში, აქედან 5-6 კაცი არაფხიზელ მდგომარეობაში იყო, მათ შორის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკიც იყო. ეს ყველაფერი გადმოცემით ვიცი და კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ტატუნაშვილი ვაჟკაცი კაცი ყოფილა.

— თუ გამოვალთ იქიდან, რომ ეს იყო მოსკოვის წინაშე თავის გამოჩენის მოტივი, ან იგივე საქართველოს მხარის პროვოკაციაზე წამოგების სურვილი, საპრეზიდენტო არჩევნების წინ რატომ უნდა აწყობდეს რუსეთს კონფლიქტი იმ რეგიონში, რომელზეც პასუხისმგებელია?

— თუ ვიღაცის ავადმყოფ თავში მოვიდა ასეთი იდეა, რომ მოსკოვის წინაშე გამოეჩინათ თავი, ამბავი ისე დამთავრდა, რომ უკუეფექტი მიიღეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ და არ გამოვრიცხავ იმას, რომ მათ მიიღეს ბრძანება პროვოკაციაზე წამოეგოთ ქართული მხარე. მაგრამ ისე გააკეთეს, რომ ქართული სამსახური გაუწიეს რუსულ მხარეს. ახლა ძალიან რთულია რუსებისთვის, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ფორმატებში თავი იმართლონ.

— ასეთია ოფიციალური ვერსია, რომ ის გეგმავდა ტერორისტულ აქტს...

— რა ინფორმაციაც მათ თავიანთ მოსახლეობას მიაწოდეს, თუ როგორ მოხდა ტატუნაშვილის დაკავება, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ რუსული „მართლმსაჯულება“ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დარჩა. 30-იანშიც ვერ გადადიან, იმდენად ტრაგიკომიკურია ინფორმაცია, რომელიც მათ გაავრცელეს. ე.ი. ტატუნაშვილს ჯიბეებში ჩალაგებული ჰქონდა კომპრომატები, ჰქონდა სიები თავისი თანამშრომლებით და ხელმძღვანელებით, ფოტოები, მონახაზები და ა.შ. ისეთი კოშმარია, რომ ამასთან დაკავშირებით რამდენიმე რუს ბლოგერთან მქონდა მიმოწერა. მიუხედავად იმისა, რომ ყველას „დერჟავიკული“ განწყობა აქვს, უკიდურესად აღშფოთებული არიან ამით და არავინ არ დაიჯერა. თუ ძალით დააჯერებ საკუთარ თავს, თორემ არის ხალხი, რომელთაც უბრალოდ გაატარეს ეს ამბავი, თითქოს არაფერი მომხდარა. თვითონაც ხვდებიან, რომ სირცხვილია ამ ინფორმაციის მოსმენაც და დაჯერება.

— რა ბერკეტები აქვს ახლა ქართულ მხარეს, რომ დროულად მოხდეს ტატუნაშვილის ცხედრის გადმოსვნება და ასევე, არ დაუშვან პროვოკაციაზე წამოგება?

— საერთაშორისო ზეწოლის გარდა არავითარი ოფიციალური ბერკეტი ქართულ მხარეს არ გააჩნია. როგორც ჩანს, პირდაპირი მოლაპარაკება შედეგს არ გამოიღებს, ამიტომ დარჩა ერთადერთი გზა — საერთაშორისო ზეწოლა. ეს არის ოფიციალური ნაწილი. რაც შეეხება არაოფიციალურ ნაბიჯებს, გარკვეული დროის შემდეგ ამის უამრავი ბერკეტი არსებობს. რაც შეეხება ცხედრის გადმოცემას, მხოლოდ საერთაშორისო აქტიურობით შეიძლება შედეგის მიღწევა. მაგრამ იმისათვის, რომ დაისაჯონ დამნაშავეები, არსებობს არაოფიციალური ხერხი, რომლის გამოყენება არ არის საჩქარო. ახლა არაფრით არ შეიძლება ასეთი ისტერიის დაშვება. მესმის, ოჯახის მდგომარეობა, მაგრამ ოჯახი უნდა დავარწმუნოთ, რომ მკვლელებს აუცილებლად მიეზღვებათ თავისი, ოღონდ ამისთვის დრო არის საჭირო.

თამთა ძარჩავა

დე ფაქტო საგარეო „უწყება“ ტატუნაშვილს „მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობაში და სადაზვერვო-დივერსიულ საქმიანობაში ეჭვმიტანილად“ მოიხსენიებს

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო არჩილ ტატუნაშვილთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„ბოლო დროს საქართველოში აქტიურად იძაბება სიტუაცია ცხინვალის რესპუბლიკურ საავადმყოფოში საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. სადაზვერვო-დივერსიულ საქმიანობასა და 2008 წლის აგვისტოში მშვიდობიანი მოსახლეობის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ტატუნაშვილი სამხრეთ ოსეთის სამართალდამცველებმა 2018 წლის 22 თებერვალს, ლენინგორში დაიჭიეს. ყურადღებას იქცევს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება — საგამოძიებო იზოლატორში, ბადრაგირების დროს ტატუნაშვილი თავს დაესხა ბადრაგს, წაართვა ერთ-ერთ მათგანს ტაბელური იარაღი და ცეცხლის გახსნა სცადა. სამართალდამცველებმა ეს მცდელობა აღკვეთეს, გამოიყენეს ძალა და თავდასხმელი გააუვნებელყვეს. საღი აზრი გვკარნახობს, რომ არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალება სამხრეთ ოსეთის ინტერესებში არანაირად არ შედიოდა, ვინაიდან საქმეზე არსებითი წარმოების დაწყებამდე ეჭვმიტანილის გაქცევის მცდელობა საფუძვლიანად ფასდება როგორც არსებული ეჭვის დადასტურება“, — აცხადებენ დე ფაქტო „უწყებაში“.

◎ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲡᲐᲢᲔᲮᲘ

ᲤᲐᲚᲡᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲥᲘᲛᲘᲙᲐᲢᲔᲑᲘ ᲤᲔᲠᲛᲔᲠᲔᲑᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ ᲣᲩᲔᲜᲔᲜ

ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, გაზაფხული კალენდარულად ახლა დგება, მაგრამ კახელმა გლეხებმა საგაზაფხულო სამუშაოები ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ დაიწყეს. წინა წლის ნარჩენებისგან მიწის ნაკვეთები გაიწმინდა და შემდეგ დამუშავდა. ისხვლება ატმის ბაღები და ვენახები, იწყება ხეხილის პირველი წამლობაც. ახლა ატმის ბაღებს ისეთ წამალს ასხამენ, რომ ყვავილი ნაადრევად არ გამოიტანოს და შემდეგ ყინვამ არ დააზიანოს.

გლეხების ნაწილი ამბობს, რომ პრობლემაა შხამქიმიკატების მაღალი ფასი, თუმცა უფრო მეტად მისი ხარისხი ადარდებთ. მიხელ ვარამაშვილი წინა წელს იხსენებს, როცა კონკრეტული შხამქიმიკატი გამოიყენა, მაგრამ შედეგი ვერ მიიღო, რაც აფიქრებინებს, რომ ის ფალსიფიცირებული იყო: **„რვაჯერ ტრაქტორით შევწამლე და ორჯერ ზურგით, მაგრამ წამალი რომ არ ვარგოდა, ნაცარი გაუჩნდა. გაამკაცრონ კონტროლის პროცესი და ყველაფერი გააკეთონ, რომ გლეხი აღარ დაზარალდეს“.**

შხამქიმიკატების უხარისხობაზე სხვა ფერმერებიც ლაპარაკობენ და შესაბამის უწყებებს უყურადღებობაში ადანაშაულებენ. გლეხების თქმით, თუკი სახელმწიფო რეალურად გააკონტროლებს ბაზარზე არსებული პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხს, ბევრ დარღვევას აღმოაჩენს: **„კომუნისტების დროს სულ სამჯერ ვწამლიდით ვენახს და მოდიოდა შესანიშნავი მოსავალი. ახლა ხალხმა რვაჯერ შეწამლა, მაგრამ სულ გაოხრდა ვენახი. არ ურჩევნიათ, რომ ხარისხიანი წამლები მოიტანონ?!“**

სურსათის ეროვნული სააგენტო შხამქიმიკატების სარეალიზაციო ობიექტების შემოწმებას იწყებს. როგორც უწყების მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა **ნიკა მესხმა** გვითხრა, სხვადასხვა სარეალიზაციო ობიექტიდან წელს 350-მდე ნიმუშის აღება აქვთ დაგეგმილი, რაც ქიმიკატების ხარიხის გაკონტროლებას გულისხმობს: **„სეზონის გააქტიურებასთან ერთად დავიწყეთ ნიმუშების აღება და მონიტორინგი. ჩვენ სარეალიზაციო ქსელის ობიექტებსაც ვუწევთ მონიტორინგს, როგორებიცაა ფერმერთა მომსახურების ცენტრები, რათა მაქსიმალურად იყოს დაცული მომხმარებელთა უფლებები. დარღვევის შემთხვევაში ტარდება შესაბამისი საჯარიმო სანქციები“.**

სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტის უფროსი ნიკა მესხი დაინტერესებულ პირებს რჩევასაც აძლევს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ, რომ ხარისხიანი პროდუქტი იყიდონ: **„ძალიან მნიშვნელოვანია, თვითონ პესტიციდების შეძენა მოხდეს სპეციალიზებულ მაღაზიებში და არა ღია ცის ქვეშ და სადღაც ბაზრობებზე, რადგან ამ დროს პესტიციდის ფიზიკური და ქიმიური თვისებები იკარგება და ვერ ავლენს იმ მთავარ დანიშნულებას, რაც უნდა ჰქონდეს თითოეულ პესტიციდს. ამიტომ მნიშვნელოვანია, სწორ ადგილზე მოხდეს მისი შეძენა“.**

სურსათის ეროვნულ სააგენტოში თქვეს, რომ მიმდინარე წელს შხამქიმიკატების ფალსიფიცირების კონკრეტული შემთხვევები უკვე აღმოაჩინეს და ბიზნესოპერატორები დააჯარიმეს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის იანვრიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შევიდა ცვლილება,რომლის მიხედვითაც, კანონდამრღვევ ბიზნესოპერატორებს უფრო მკაცრად დასჯიან. მაგალითად, არარეგისტრირებული და უხარისხო პესტიციდების გაყიდვა 2 000-ლარიან ჯარიმას ითვალისწინებს, განმეორების შემთხვევაში კი თანხა ორმაგდება.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ „DISCOUNT WEEK“ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ტურისტულ რეგიონებში ფასდაკლების კვირეული დაიწყო. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით და აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მხარდაჭერით „Discount Week“-ის კამპანია 24 თებერვლიდან 11 მარტის ჩათვლით აჭარაში ტარდება.

ფასდაკლებების კვირეულში ჩართულია აჭარის 15 სასტუმრო, 11 კვების ობიექტი, 5 ატრაქცია და 5 სავაჭრო ობიექტი. ფასდაკლების კვირეულთან დაკავშირებით ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ აჭარაში პრესტური გამართა. ტურში სხვადასხვა მედიასაშუალებების 30-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. „Discount Week“-ში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აჭარაში მდებარე სასტუმროებს, რომლებსაც გააჩნიათ 39 ან მეტი ოთახი და უნდა წარმოადგინონ არსებულ სეზონზე გამოცხადებული ფასიდან 30%-იანი ან მეტი ფასდაკლება.

ფასდაკლების კვირეულისთვის სპეციალური მარკეტინგული კამპანია შემუშავდა, რომელიც პროექტის სატელევიზიო გაშუქებას და სოციალურ ქსელში რეკლამას მოიცავს.

რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდასაჭერად

ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე www.acda.gov.ge რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდამჭერ სახელმწიფო პროგრამაში რეგისტრაცია 19 მარტამდე გაგრძელდება.

სახელმწიფო პროგრამა მოიცავს მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის (თხა, ცხვარი) დარგის კოოპერატივების ხელშეწყობას.

სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში მესაქონლეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს გადაეცემა სხვადასხვა სიმძლავრის რძის მიმღებ-გადამამუშავებელი აღჭურვილობა და ნედლი რძის კონტროლის საველე ლაბორატორიული ხელსაწყოები. პროგრამაში მონაწილე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით მიიღებენ ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო აღჭურვილობას.

თუ კოოპერატივის ან/და მის მეპაიეების საკუთრებაშია არანაკლებ 200 სული თხა (ნეზვი), მას გადაეცემა 12-ადგილიანი საწველი და ყველის დამამზადებელი რძის საწარმოო აღჭურვილობა.

სახელმწიფო პროგრამაში ჩართული კოოპერატივის ვალდებულებას წარმოადგენს საწარმოს შენობა-ნაგებობის აშენება, რომელშიც განთავსდა კაპიტალური ინვესტირების ფარგლებში გადასაცემი დანადგარები. მეცხვარეობის კოოპერატივებს თანადაფინანსებით ღირებულების 30%-ად, მობილური ტიპის 24-ადგილიანი საწველი აღჭურვილობის გადაეცემა, თუ კოპერატივს ან/და მის მეპაიე(ებ)ს საკუთრებაში გააჩნიათ არანაკლებ 1000 სული ცხვარი (ნერბი).

პროგრამაში ჩართულობით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს საშუალება ეძლევათ, მოახდინონ რძის მიღება სტანდარტების დაცვით, რაც ხელს შეუწყობს საწარმოო ციკლის გაზრდით კოოპერატივების მეპაიეების შემოსავლების ზრდას.

ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ინდუსტრიის განვითარების მიმართულება 2016 წლიდან დაემატა სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“, რომელიც თითოეულ მეწარმეს, შესაძლებლობას აძლევს განავითაროს სასტუმრო ბიზნესი, შექმნას ახალი სამუშაო ადგილები, მოიზიდოს მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყოს რეგიონის განვითარებას.

აღნიშნული კომპონენტი, რეგიონში სასტუმრო ბიზნესის განხორციელების სურვილის მქონე მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას. გარდა ამისა, პროგრამის მეშვეობით აქტიურად ხდება საქართველოში წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვის სტიმულირება, ე.წ „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულების თანადაფინანსების გზით.

2018 წლის თებერვლის თვის მონაცემებით სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის „უმასპინძლე საქართველოში“ ფარგლებში მხარდაჭერილია 41 მეწარმე სუბიექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 120 მლნ ლარს, ხოლო აღნიშნული 41 სასტუმრო შექმნის 1200-ზე მეტ დამატებით ოთახს და 1300-ზე მეტ ახალ სამუშაო ადგილს. ზემოთ ხსენებული სასტუმროები აშენდება ბორჯომში, ბაკურიანში, გუდაურში, ფოთში, ურეკში, ნიკორწმინდაში, ყაზბეგში, საგარეჯოში, გონიოში, შეკვეთილში, თელავში, წყალტუბოში, ქუთაისში, ზუგდიდში, მესტიაში, გურჯაანსა და გორში.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲠᲔᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐᲖᲔ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲙᲐᲪᲠᲓᲔᲑᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲚᲘᲓᲐᲜ ქუთაისში გარევაჭრობაზე სანქციები მკაცრდება, ხოლო მოქალაქეებს, რომლებიც კანონს არ დაემორჩილებიან, საჯარიმო სანქციები დაეკისრებათ.

სპეციალურმა სამსახურებმა ცენტრალური ბაზრისა და ჯაჭვის ხიდის მიმდებარე ტერიტორია უკვე დაასუფთავეს, აღებულია გარემოვაჭრეთა დახლები.ქუთაისის მერია გარემოვაჭრეებს ბაზარში შესვლას სთავაზობს. სანაცვლოდ კი ისინი 3 თვის განმავლობაში მოსაკრებლისგან გათავისუფლდებიან.

ᲙᲝᲑᲘ-ᲒᲣᲓᲐᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲒᲘᲠᲝ ᲒᲖᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი კობი-გუდაურის საბაგირო გზის პროექტირება-მშენებლობის სამუშაოებს ახორციელებს. პროექტი საქართველოს მთავრობის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 80,930,728.28 ლარს შეადგენს. მშენებლობის მიმდინარეობას ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ გაგი ბუაძე გაეცნო.

კობი-გუდაურის საბაგირო დაახლოებით შვიდნახევარი კმ-ის სიგრძის იქნება. გარდა იმისა, რომ მოთხილამურე გუდაურიდან კობის მიმართულებით გადაადგილებას შეძლებს, ასევე უამინდობისა და დიდთოვლობის გამო ყაზბეგში ჩაკეტილი გზის პრობლემაც აღმოიფხვრება და მსურველები გუდაურში გადმოსვლას საბაგიროთი შეძლებენ. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული ტერიტორია ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს მასზე სრიალი გვიან გაზაფხულამდე იქნება შესაძლებელი. სამუშაოები მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.

თუ ამერიკა ითვალისწინებს რუსეთის ფაქტორს, ჩვენ რას ვაკეთებთ?!

„კარნეგი ცენტრის“ დოკუმენტთან დაკავშირებით

ამერიკელი ექსპერტის ლუკ კოფის „გეგმა“ საქართველოს ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით რომ განგაშის ზარების მსგავსი რამ იყო, გასაკვირი არ არის. სხვაგვარად როგორღა იქნებოდა 20-წლიანი დაპირებების შემდეგ – შეგიყვანთ, მაგრამ ნატოს წესდების მე-5 მუხლის (კოლექტიური თავდაცვა) ამოქმედების გარეშეო?!

თუმცა კაცმა რომ თქვას, დაპირება იქ შეყვანასთან დაკავშირებით ნატოს წევრი სახელმწიფოების მხრიდან რომ არ ყოფილა, ფაქტია. რაც იყო – მოთმინებას და დავალებების შესრულებას უკავშირდებოდა და კიდევ „ვნახოთ“-ს, ანუ გაურკვეველ პერსპექტივას.

იყო გამოკვეთილად ნათქვამი უარიც აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის ობამას მხრიდან და ასევე ხაზგასმულად განცხადებული პრეზიდენტობის კანდიდატის დონალდ ტრამპის სიტყვები – ნატოს მოძველებასთან და ამ ორგანიზაციის უპერსპექტივობასთან დაკავშირებით.

მართალია, პრეზიდენტობის კანდიდატის პოზიცია მკვეთრად შეიცვალა – პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, მაგრამ ნიშნები იმისა, რომ ტრამპი გულცივია ნატოს მიმართ, არცთუ უსაფუძვლოა, მის მიერ წარმოებული პოლიტიკიდან გამომდინარე.

ტრამპის მუქარა ნატოს წევრი ქვეყნების მიერ საკუთარი ეროვნული შემოსავლიდან 2%-ის ნატოს ბიუჯეტში შეტანის თაობაზე, ძალაშია და თუ ყველა მათგანი არ შეასრულებს მოთხოვნას, აშშ უარს იტყვის ნატოს დაფინანსებაზე.

„გინდათ უსაფრთხო ცხოვრება? – კეთილი ინებეთ და გადაიხადეთ საკუთარი უსაფრთხოებისთვის“ – ასეთია ტრამპის მოწოდება. მეორე მოწოდება კი – „გინდათ თავდაცვა? – შეიძინეთ ამერიკული იარაღი“.

და საქართველომაც, როგორც დამჯერმა და მუყაითმა მოწაფემ, უმალ შეისყიდა ტანკსაწინააღმდეგო „ჯაველინები“ – 75 მილიონ დოლარად...

რას ვიზამთ, ასეთია აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაციის პოლიტიკა, რომელიც საგარეოს, საშინაოზე დაბლა აყენებს და მიიჩნევს, რომ ამ ქვეყანამ, უპირველესად, საკუთარ პრობლემებს უნდა მიხედოს – „ჯერ თავო და თავოს და მერე ცოლო და შვილოს“ მსგავსად.

საქართველოში ბევრს ჰგონია, რომ აშშ-ის პოლიტიკა არ შეიცვლება და ასეთად დარჩება მრავალი წლის განმავლობაში. შეიცვლება და მერე როგორ! შეიცვლება ისე, ჩვენ რომ ვერ ვიგრძნობთ, ვინაიდან ის, რაც აქამდე იყო, ამერიკელ ექსპერტთა შეფასებით, მცდარს, მეტადრე ეიფორიულს უკავშირდებოდა და არა რეალურს. მხედველობაში მაქვს აშშ-ის პოლიტიკა კავკასიასთან მიმართებაში, რაც ასახულია აშშ-ის „კარნეგი ცენტრის“ ექსპერტების მიერ მომზადებულ ანალიტიკურ მასალაში, დაბეჭდილს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ა.წ. 22 თებერვლს სათაურით „როდემდე გავძლებთ ჰაერში გამოკიდებული?!“.

„კარნეგელი“ ექსპერტების დასკვნებთან შედარებით ლუკ კოფის „გეგმა“ ტკბილ სიზმრად მოგვეჩვენება, რამეთუ „კარნეგელთა“ ნამუშევარი ყოვლისმომცველია და აშშ-ის აწმყოსა და მომავლის სამოქმედო გეგმებს წარმოსახავს.

„თუ ვაშინგტონი კავკასიაში გეოპოლიტიკური მდგომარეობის შეცვლას შეეცდება, მას რუსეთის დომინირებად როლთან დაპირისპირება მოუწევს“ – ასე წერენ „კარნეგელები“ და იქვე აგრძელებენ: „აშშ-ს სამხრეთ კავკასიაში, რუსეთთან შედარებით, უფრო ნაკლები გეოპოლიტიკური პოზიციები აქვს. ვაშინგტონმა არ უნდა აღუთქვას რეგიონის ქვეყნებს ისეთი დახმარება მოსკოვის გავლენის საწინააღმდეგოდ, რასაც აშშ რეალურად ვერ განახორციელებს, განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს და მის სწრაფვას ნატოში გაწევრებისკენ“.

„კარნეგი ცენტრის“ მიერ მომზადებული დოკუმენტი კანონი არ არის, მაგრამ მასში ასახული ცნებები რომ გაზიარებულია აშშ-ის კანონმდებელთა უმრავლესობის მიერ, ფაქტია. „კარნეგი ცენტრი“ რესპექტაბელური ორგანიზაციაა და მის ნათქვამს ყურადღებით ეკიდებიან, მითუმეტეს ისეთ საკითხებში, როგორებიც აშშ-რუსეთის ურთიერთობებს ეხება და აქედან გამომდინარე, რისკებს. „კარნეგი ცენტრის“ ანალიტიკური მასალა ამიერკავკასიაში აშშ-ის 25-წლიან მოღვაწეობას ასახავს და აქედან გამომდინარე სამომავლო გეგმებს, რაც მთლად დასამშვიდებელი არ უნდა იყოს ჩვენთვის.

„აშშ-ს სამხრეთ კავკასიაში სერიოზული ინტერესები აქვს, მაგრამ მათგან არც ერთი არ ითვლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად. ...აშშ-ის მცდელობებმა რეგიონში სერიოზული ცვლილებების ინიცირების მიზნით, მოლოდინები არ გაამართლა და საეჭვოა, მომავალში ახალი მცდელობებიც წარმატებული იყოს. პრინციპი – „ნელა იარე და უფრო მეტს მიაღწევ“ – ოპტიმალური რჩება“.

აწყობს თუ არა საქართველოს ხელისუფალთ „ნელა სიარული“, კარგად ჩანს განცხადებებიდან – მოჭარბებულად ოპტიმისტურიდან, სინამდვილეს მოწყვეტილიდან. პოლიტიკურ სამზარეულოში გარკვეულთათვის კარგად არის ცნობილი ხელისუფალთა „ოპტიმიზმი“ ნატოსა და ევროკავშირში შესვლასთან დაკავშირებით, მაგრამ რიგითი მოქალაქისთვის, უდავოდ სარწმუნოა ის, რასაც ხელისუფლება ამბობს მრავალი წლის განმავლობაში.

დიახ! ნატოში შესვლა რომ ურუსეთოდ არ გადაწყდებოდა, განა ცნობილი არ იყო?! ხელისუფლება და ნატოელი მოხელეები კი სრულიად საწინააღმდეგოს ქადაგებდნენ, თან იმასაც ამატებდნენ, რომ რუსეთი ნატოს წევრი არ არის და მის აზრს ნატო არ ითვალისწინებსო. არადა, როგორც ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერები, ისე აშშ-ის პოლიტიკოსები ნატოში საქართველოს შეყვანასთან დაკავშირებით, რუსეთის აზრს იზიარებენ, განსაკუთრებით მიუნხენში რუსეთის პრეზიდენტის პუტინის კრიტიკული გამოსვლის და ცხინვალის 2008 წლის ომის შემდეგ.

2008 წლის გამოცდა რუსეთმა ფრიადზე ჩააბარა, ცხადია, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და აშშ-ს, კოლექტიურ დასავლეთს დაანახვა, რომ ნატოს რუსეთის საზღვრებამდე გაფართოებას არ დაუშვებს. რუსული დერჟავის დღევანდელ ხელისუფლებას ვერაფრით მოუნელებია ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ნატოში შესვლა

და ახლა საქართველო და უკრაინა?

„კარნეგი ცენტრის“ მიხედვით, 2008 წლის ომი გახდა აშშ-ის პოლიტიკის ევოლუციისა და მისი „შემობრუნების პუნქტი“ არა მხოლოდ საქართველოს მიმართ, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის მიმართაც. კრემლის მიერ განხორციელებულმა სამხედრო აქციამ აჩვენა, რომ რუსეთი აღარ მოითმენს აშშ-ისა და მისი მოკავშირეების გავლენის გაძლიერებას თავის საზღვრებთან და ამიერიდან რომელიმე პოსტსაბჭოთა რესპუბლიკის ნატოში გაწევრებას რუსეთი აღარ დაუშვებს“.

ამ პოზიციაზე დგას რუსეთი დღესაც. მას ვერავინ, მათ შორის, საქართველოს ხელისუფლებაც ვერ დააჯერებს, რომ ნატოს აქტიურობა უკრაინში, მოლდოვასა და საქართველოში რუსეთის წინააღმდეგ არ არის მიმართული და რომ საქართველოში ნატოს სამხედრო-საწვრთნელი ცენტრის შექმნა მხოლოდ კეთილი სურვილებითაა განპირობებული. რუსეთს აქვს ეჭვის საბაბი, რაც დასავლეთმა, კერძოდ აშშ-ის თანამედროვე პოლიტიკამ გაუჩინა.

აშშ-ის პრეზიდენტ კლინტონიდან დაწყებული, მის წინამორბედთა დამოკიდებულება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებასთან დაკავშირებით კარდინალურად შეიცვალა, ანუ ვაშინგტონმა გადააბიჯა რუსეთისადმი საკუთარ დაპირებას – რომ ყოფილ სოცქვეყნებს ნატოში არ შეიყვანდა. და ურცხვად დაიწყო იმის მტკიცება, რომ ასეთი შეთანხმება ან დაპირება საბჭოთა კავშირთან არ ყოფილა – „თუ იყო, აბა გვაჩვენეთ ხელმოწერილი დოკუმენტიო“.

ხელმოწერილი დოკუმენტი მართლაც არ არსებობს, მაგრამ არსებობს მოლაპარაკებების ჩანაწერი, რასაც თითქმის ისეთივე პოლიტიკური დატვირთვა აქვს, როგორც დოკუმენტს.

ის, რომ დოკუმენტი არ შეიქმნა, საბჭოთა საგარეო უწყებას ბრალდება, ვინაიდან ის უნდა ყოფილიყო ინიციატორი ამგვარის შექმნაში. მაშინ, ეიფორიაში მყოფმა გორბაჩოვმა და შევარდნაძემ აღნიშნულს ჯეროვანი ყურადღება არ დაუთმეს და ბეიკერის, ბუშის, გენშერის, კოლის, მიტერანის, ტეტჩერის, მეიჯორის, სხვების სიტყვიერ დაპირებას მიენდნენ. სიტყვიერი კი უფრო გაფრენილი რამ არის, მაგრამ არა დიპლომატიაში, რაც მხედველობიდან გამორჩათ ზემოჩამოთვლილი პოლიტიკოსების მემკვიდრეებს. მათ, ახალი პოლიტიკიდან გამომდინარე, რუსეთის ნატოთი შემორკალვა დაიწყეს, ნაცვლად რუსეთისთვის მიცემული გარანტიებისა, რომ ასეთს არასდროს ექნებოდა ადგილი.

გასულ წელს გამოქვეყნდა აშშ-ის უსაფრთხოების არქივები, რომლებმაც ნათელი მოფინეს მაშინდელ ვითარებას, ცხადია, რუსეთის სასარგებლოდ. დასტურად ამისა მოვიყვან ზოგიერთ ნათქვამს.

1990 წლის 9 თებერვალი. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ბეიკერმა საბჭოთა ლიდერ გორბაჩოვთან მოლაპარაკების დროს სამჯერ გაიმეორა შემდეგი: „არც ერთი დიუიმით აღმოსავლეთისკენ“. “არც პრეზიდენტი და არც მე არ ვგეგმავთ მივიღოთ ცალმხრივი სარგებელი იმ პროცესებიდან, რასაც აქვს ადგილი. ... ნატოს დღევანდელი სამხედრო იურისდიქცია ერთი დიუმითაც ფეხს არ მოიცვლის აღმოსავლეთისკენ“.

1990 წლის 31 იანვარი. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის გენშერის სიტყვა ბავარიის კომუნა ტუტცინში, გერმანიის გაერთიანებასთან დაკავშირებით: „ცვლილებებმა აღმოსავლეთ ევროპაში, რომელიც მოჰყვება გერმანიის გაერთიანებას, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მიაყენოს ზარალი საბჭოეთის უსაფრთხოებას. ამიტომ ნატომ უნდა გამორიცხოს ნებისმიერი გაფართოება თავისი ტერიტორიის აღმოსავლეთის მიმართულებით, საბჭოეთის საზღვრებამდე“.

1991 წლის მარტი. სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის ელჩის ჩანაწერიდან: „გორბაჩოვთან მოლაპარაკების დროს საბჭოეთის თავდაცვის მინისტრმა იაზოვმა პრემიერ-მინისტრ მეიჯორს დაუსვა კითხვა – თუ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებს გაუჩნდებათ ნატოში გაწევრების სურვილი, გაუღებენ თუ არა მათ ნატოს კარს? მეიჯორმა უპასუხა – ეს არასდროს მოხდება“.

ზემომოყვანილი მაგალითები და მის შემდგომ განვითარებული მოვლენები – ერთობ მიუღებელი რუსეთისთვის, ამ უკანასკნელის სერიოზული გაღიზიანების საგანია, რასაც საქართველოს პოლიტიკა არ ითვალისწინებს და ბრმად მიჰყვება აშშ-ის გარკვეული წრეების ნებისმიერ დავალებას, მათ შორის, ნატოს საწვრთნელი ცენტრის შექმნისა და „ჯაველინების“ შესყიდვასთან, ერთობლივი სამხედრო წვრთნების ჩატარებასთან ან სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით, შემდეგ კი შეშფოთებას გამოთქვამს რუსეთის სამხრეთით, სამხედრო ოლქის ახალი შენაერთებითა და უახლესი საბრძოლო ტექნიკით გაძლიერებაზე. დაგეგმილია 2 ახალი მოტომსროლელი დივიზიის ჩამოყალიბება და БМП-3 და Т-72Б3 – ტიპის ტანკებით აღჭურვა.

„კარნეგი ცენტრის“ მიერ შექმნილი ანალიტიკური დოკუმენტი თავისთავად მიგვანიშნებს მთავარზე – სტრატეგიული პარტნიორის მიერ რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებაზე. და თუ ის ითვალისწინებს, ჩვენ რას ვაკეთებთ?

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

პუტინი: რუსეთის მიწებს ვერასოდეს ვერავინ მიიტაცებს!..

არჩევნებამდე 18 დღით ადრე რუსეთის მოსახლეობას ქვეყნის პრეზიდენტმა პირდაპირ ეთერში მიმართა. პუტინმა ისაუბრა რუსეთის ეკონომიკაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ჯანდაცვის ახალ პროგრამებზე, განათლების სისტემაზე, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ტექნოლოგიურ განვითარებაზე და ყურადღება გაამახვილა რუსეთის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე.

„რუსეთს ერთადერთი მტერი ჰყავს და ეს მტერი განვითარების პროცესის შეწყვეტა და რეგრესია. ჩვენ საფრთხე სხვა ქვეყნებისგან არ გვემუქრება, რადგან რუსეთის მიწებს ვერასოდეს ვერავინ მიიტაცებს“, – განაცხადა პუტინმა.

* * *

მან ყურადღება მსოფლიოს ცივილიზაციის ცვლილებებზე გამახვილა და რუსეთში ამ ცივილიზაციის დაგვიანება დამპყრობლებზე საშიშ მოვლენას შეადარა. ფედერალური საბჭოსადმი მიმართვაში პუტინმა აღნიშნა, რომ ჩამორჩენა განვითარდება, თუ რაიმე ზომები არ იქნება მიღებული. მისი თქმით, რუსეთმა უნდა შექმნას განვითარების დინამიკა, რათა მისი ზრდა ვერაფერმა შეაფერხოს. „ყველაფერი ის უნდა მოვიშოროთ, რაც ჩვენს წინსვლას და განვითარებას ამუხრუჭებს. თუ ამას არ ვიზამთ, ჩვენს შვილებს, ჩვენს ქვეყანას მომავალი არ ექნება. ჩვენ განვითარების ისეთი დინამიკა უნდა უზრუნველყოთ, რომ არც ერთმა დაბრკოლებამ ხელი არ შეგვიშალოს დამოუკიდებლად წინსვლაში. ჩვენ თვითონ უნდა განვსაზღვროთ ჩვენი მომავალი“, – აღნიშნა ვლადიმერ პუტინმა.

პუტინის განცხადებით, ტექნიკური ჩამორჩენილობა ქვეყანაში გააქრობს ადამიანურ პოტენციალს. მისივე თქმით, რუსეთიდან მოხდება ნიჭიერი ახალგაზრდების გადინება და ქვეყანა სიცოცხლისუუნარო გახდება.

საღ, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1881 წლის 1 მარტს სანკტ-პეტერბურგში ტერორისტული ორგანიზაცია „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის განაჩენით მოკლეს რუსეთის იმპერატორი (1855-1881 წ.წ.) ალექსანდრ II, რომელმაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი

რეფორმები (ბატონყმობის გაუქმება 1861 წ., საერობო, სასამართლო, საქალაქო და სხვ.) განახორციელა. მის დროს, რუსეთ-თურქეთის ომის (1877-1878 წ.წ.) შედეგად საქართველოს (იმპერიის) შეუერთდა სამხრეთის ისტორიული მიწა-წყალი — არტაანი, ყარსი, ბათუმი ოლქებითურთ. ალექსანდრ II-მ 1871 წელს იმოგზაურა საქართველოში, შეხვდა თავადაზნაურთა წარმომადგენლებს, რომლებმაც ადრესი მიართვეს თბილისში... კადეტთა კორპუსის გახსნის თხოვნით.

1917 წლის 2 მარტს შეიქმნა რუსეთის დროებითი მთავრობა, იმპერატორმა ნიკოლოზ II რომანოვმა უარი განაცხადა ტახტზე.

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას რუსეთსა და გერმანია-ავსტრია-უნგრეთ-თურქეთ-ბულგარეთს შორის. ამ სეპარატისტული ზავით რუსეთი გამოვიდა I მსოფლიო ომიდან, ოღონდ მას ჩამოსცილდა უკრაინა, ბალტიისპირეთის, ბელორუსიის ნაწილები.

აქვე: ამიერკავკასიის ერების დაუკითხავად, თურქეთის კარნახით, გერმანიამ რუსეთს წაუყენა მოთხოვნა ყარს-არტაან-ბთუმის ოლქების თურქეთისთვის გადაცემის შესახებ. ამიერკავკასიის სეიმმა არ ცნო ბრესტის საზავო ხელშეკრულება და 1918 წლის 13 მარტს თურქეთთან დაიწყო დამოუკიდებელი მოლაპარაკება და იმავე წლის 4 ივნისს საქართველომ და თურქეთმა ბათუმში ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოსთვის უფრო სამძიმო იყო, ვიდრე ბრესტის ზავის პირობები: თურქეთმა მიიღო თითქმის მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო.

1921 წლის 4 მარტს შეიქმნა აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.

1953 წლის 5 მარტს მოსკოვში, კუნცევოს აგარაკზე ოფიციალური ვერსიით ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა იოსებ ბესარიონის ძე სტალინი.

ოთხ და მეტშვილიან ოჯახებს მრავალშვილიანის სტატუსი მიენიჭებათ

საკანონმდებლო ცვლილებები პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ და მისმა პირველმა მოადგილემ დიმიტრი ხუნდაძემ მოამზადეს.

„კანონპროექტის მრავალშვილიანი მშობლის სტატუსის მინიჭების და სოციალური დახმარების გაცემის წესს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა 2018 წლის 1 ივნისამდე. მსგავსი კანონპროექტი ევროპის უმეტეს და პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ქვეყანაში მოქმედებს. საკითხზე მუშაობა დიდი ხანი მიმდინარეობდა, თუმცა, პროცესებს ქვეყნის მცირე ბიუჯეტი აფერხებდა. სტატუსი 2006 წელს გაუქმდა და ის 7 და მეტშვილიან ოჯახებს ენიჭებოდა. ახალი კანონმდებლობით კი, მრავალშვილიანის სტატუსი 4 და მეტშვილიან ოჯახებს ექნებათ“, — განაცხადა ხუნდაძემ.

მისი თქმით, სახელმწიფო ბიუჯეტით დაფინანსებული იქნება მრავალშვილიანი ოჯახის ელექტროენერგიის სუბსიდია.

„კერძოდ, მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ოთხი ბავშვი ჰყავს, ყოველთვიურად 20 ლარს მიიღებს, ხოლო ხუთ ან მეტშვილიანი ოჯახი მე-5 და მომდევნო ბავშვზე — დამატებით 10-10 ლარს. საქსტატის მონაცემებით, (2014 — საყოველთაო აღწერის შედეგები) 12369 შინამეურნეობაა, სადაც ოთხი და მეტი არასრულწლოვანი ცხოვრობს. შესაბამისად, სარგებლის სახით, ჯამური ფინანსური შედეგი წლიურად დაახლოებით 3 489 000 ლარი იქნება“, — აღნიშნა ხუნდაძემ.

დეპუტატის თქმით, შეღავათს ის ოჯახები მიიღებენ, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა ტოლი ან ნაკლები 300 000 იქნება.

◎ საიდან მოვდივართ?!

გავშვეგი ისტორიულ საქართველოში

რა ადგილი ეჭირა ბავშვს ისტორიულ საქართველოში? როგორ ექცეოდნენ მას და რა უფლებები და მოვალეობები ჰქონდა? ისტორიკოსები ამბობენ, რომ ბავშვის მიმართ ადრეული საზოგადოება საკმაოდ მომთხოვნი იყო და ბავშვობაც დიდხანს არ გრძელდებოდა.

საქართველოს ისტორია, ფაქტობრივად, არ არის შესწავლილი იმ კუთხით, თუ რა ადგილი ეკავა საზოგადოებაში ამა თუ იმ ასაკის ან სქესის ადამიანს, თუმცა გარკვეული დასკვნების გაკეთება მაინც შეიძლება. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი **ნათელა კაპანაძე** აღწერს გარემოს, რომელშიც ადრე ბავშვი იზრდებოდა. როგორც წესი, ეს იყო მრავალშვილიანი ოჯახი, სადაც უფროსი და-ძმები უმცროსებს უვლიდნენ. ეცვათ ერთმანეთის გამონაცვალი ტანსაცმელი, ტყავის ქალამნები, ხანდახან ფეხშიშველებიც რჩებოდნენ.

„ოჯახს უფროსი მამაკაცი განაგებდა. ეს ყველგან ასე იყო, თუმცა მთა სიმკაცრით მაინც გამოირჩეოდა. მაგალითად, ხევსური მამაკაცი ჩვილ ბავშვს ხელს არც კი მოჰკიდებდა“.

ლადო თევდორაძის ნახატი

უფროს-უმცროსობის კულტი განსაკუთრებით ძლიერი იყო აფხაზეთში, თუმცა პატივისცემით ექცეოდნენ ბავშვსაც. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის თანამშრომელი **ლეილა ავიძბა** ამბობს:

„აფხაზეთში არის ასეთი წესი: ნებისმიერი ადამიანის ოთახში შემოსვლისას ყველა დგება ფეხზე — არა აქვს მნიშვნელობა, უფროსია ის თუ უმცროსი. ბებიაჩემი, ასაკოვანი ადამიანი, დგებოდა ფეხზე, როდესაც შემოდიოდა ბავშვიც კი“.

ნათელა კაპანაძის თქმით, უშვილობა ძველად დიდ უბედურებად მიიჩნეოდა. ამის გამო შეიძლება ცოლსაც გასცილებოდნენ, თუმცა უმეტესად მაინც ძმისშვილს იშვილებდნენ ხოლმე ან ვინმე უცხო ბავშვს. იყო შემთხვევებიც, განსაკუთრებით მთაში, როდესაც მამაკაცს მეორე ცოლიც მოჰყავდა და შემდეგ ორივე მეუღლე ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა. იმ შემთხვევაში, თუ ქალი დაქვრივდებოდა, მეორედ თითქმის არასდროს თხოვდებოდა და ბავშვებს ზრდიდა.

ბავშვებს კვებავდნენ დედის რძით, მოგვიანებით კი მარტივი საკვებით - მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ლობიოში ან ღვინოში ჩაფშვნილი მჭადით. იყენებდნენ ყველის ამოყვანის შემდეგ დარჩენილ შრატსაც — მასში სიმინდის ფქვილს გაურევდნენ და მოხარშავდნენ. იყო ხილი და ბოსტნეულიც.

ოჯახს, როგორც წესი, ერთ ოთახში ერთ გრძელ საწოლზე ეძინა. საწოლი ჩვილებისთვის, ანუ აკვანი, საქართველოში მონღოლების შემოსევის შემდეგ დამკვიდრდა. ნათელა კაპანაძე ამბობს, რომ იმ პერიოდში ხალხი მუდმივად თავდასხმის მოლოდინში იყო. საჭიროების შემთხვევაში აკვანს ცხენის უნაგირზე ამაგრებდნენ, რაც ბავშვის გადაყვანას აადვილებდა. აკვანი მოხერხებული იყო ქალისთვისაც, რომელიც ბევრს საქმიანობდა და არ ჰქონდა საშუალება, მხოლოდ ბავშვისთვის ედევნებინა თვალყური.

მეაკვნის პროფესია საკმაოდ გავრცელებული იყო. აკვანი მსუბუქი ხისგან უნდა გამოთლილიყო. მას არასდროს აგდებდნენ. არსებობდა ბედნიერი აკვნის კულტიც. ვისაც ახალი აკვნის შეძენის შესაძლებლობა არ ჰქონდა, ისეთი ოჯახისგან თხოულობდა, ვისი ბავშვებიც ჯანმრთელები გაიზარდნენ.

ბავშვებს ჰქონდათ სათამაშოებიც, უმეტესად, თვითნაკეთი ან ახლობლების მიერ დამზადებული. საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროსი კურატორი **გულიკო კვანტიძე** ამბობს, რომ სათამაშოები იყიდებოდა კიდეც. მაგალითად, თბილისში ბერიკაობის წინ საგანგებოდ ამზადებდნენ გასაყიდ სათამაშოებს, თუმცა ეს უფრო სათამაშო ხმლები, მშვილდები და სხვა საომარი იარაღი იყო, რადგან ბერიკაობის სცენა მტერთან შებმასა და ყეენის დამარცხებას გულისხმობს, რასაც საომარი აქსესუარებიც სჭირდებოდა. თოჯინებს ამზადებდნენ ნაჭრისგან, ცოცხისგან, სხვადასხვა მცენარისგანაც კი.

„რაც შეეხება ცხოველების გამოსახულებებს, ისინი ძირითადად თიხისგან არის გაკეთებული“, — ამბობს გულიკო კვანტიძე.

ბავშვი, სხვა ყველაფერთან ერთად, მუშახელიც იყო. ნათელა კაპანაძე ამბობს, რომ სულ თავიდან პატარები მუშაობას თამაშით სწავლობდნენ. დაახლოებით სამი წლიდან მათ მარტივი დავალებები ეძლეოდათ — სახლში შეშის შემოტანა ან წყლის მოტანა. ამისთვის პატარა კოკებიც ჰქონდათ. ჰქონდათ პატარა თოხებიც და როდესაც მშობლები მინდორში მიდიოდნენ, თან ბავშვებიც მიჰყავდათ, რომ მათაც რამე ეკეთებინათ. უფრო მოზრდილი ბავშვის საქმე უკვე საქონლის მწყემსვა იყო.

ნათელა კაპანაძის თქმით, ბავშვს ოჯახი სიყვარულით და ზრუნვით ეპყრობოდა. თუკი დასჯა უნდოდათ, გაუჯავრდებოდნენ, ძალადობა გაუმართლებელი იყო, თუმცა ერთეულ შემთხვევებში შეიძლება ასეთი რამ მაინც მომხდარიყო. მაგალითად, ცნობილია, რომ სასწავლებლებში ბავშვებს საკმაოდ მკაცრად სჯიდნენ, მათ შორის ჯოხითაც.

საქართველოს ისტორიაში იყვნენ ბავშვი მეფეებიც და მეფეების თანამოსაყდრეებიც, თუმცა ბავშვობის ასაკი ამ შემთხვევაშიც პირობითია.

„16 წლის ასაკში რომ ავიდა დავით აღმაშენებელი ტახტზე, ეს მაშინ სულაც არ იყო ბავშვობის ასაკი. იგივე 12 წლის იყო წმინდა ნინო, როდესაც მისი მშობლები გაიყარნენ და ის სხვა ქალს ჩააბარეს. 12 წლის ასაკში უკვე თხოვდებოდნენ“, - ამბობს თსუ-ს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის პროფესორი **მარინე ჩხარტიშვილი.**

მისი თქმით, ბავშვებთან დაკავშირებით ისტორიული კვლევები, ფაქტობრივად, არ არსებობს, მაგრამ ჰაგიოგრაფიული ძეგლებიდან მაინც შეიძლება გარკვეული დასკვნების გამოტანა, თუნდაც ნაწარმოებიდან „ცხრათა ძმათა კოლაელთა“. მასში მოთხრობილია ამბავი ცხრა ბავშვზე, რომლებიც ქრისტიანობისთვის ეწამნენ. ისინი საკუთარმა მშობლებმა ჩაქოლეს.

„აქ საინტერესო ის არის, რომ ავტორი ამ ბავშვებს წარმოადგენს როგორც სრული გაგებისა და პასუხისმგებლობის მქონეთ. მეორე მაგალითი, რაც მახსენდება, ეს არის შუშანიკის მარტვილობა. მას შემდეგ, რაც ვარსქენმა მიიღო მაზდეანობა და შვილებიც თავის რწმენაზე მოაქცია, შუშანიკი ბავშვებს, ფაქტობრივად, უარყოფს. აქაც ჩანს, რომ მათი ასაკი არ გამოდგება იმის საფუძვლად, რომ მათ რწმენაში მერყეობა ეპატიოს“.

თეა თოფურია

ოჰ, ეს გამაღიზიანებელი, დაგმანული „ღია კარის“ პოლიტიკა“!

იენს სტოლტენბერგი: სამიტზე საქართველოს პროგრესი წევრობის მიმართულებით სათანადოდ იქნება აღნიშნული

საინფორმაციო სააგენტო „აქცენტმა“ ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგთან ექსკლუზიური ინტერვიუ მოამზადა. ბატონმა სტოლტენბერგმა კითხვებს წერილობითი პასუხი გასცა. ერთადერთი კითხვა, რომელიც, სამწუხაროდ, პასუხგაუცემელი დარჩა, ეხებოდა „ჰერითიჯის ფონდის“ მკვლევარ ლუკ კოფის ინიციატივას ნატოს წესდების მე-5 მუხლის (კოლექტიური თავდაცვის პრინციპი) საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ დროებით (ამ კონფლიქტების მოგვარებამდე) არგავრცელების შესახებ. ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან ნატოს გენმდივანმა თავი შეიკავა.

— ბატონო სტოლტენბერგ, უკვე 10 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ნატოს ბუქარესტის სამიტზე საქართველომ შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში ალიანსში გაწევრების დაპირება მიიღო. ამ წლების განმავლობაში არაერთხელ გაკეთდა განცხადებები, რომ ქვეყანა სხვადასხვა მიმართულებით წინსვლას აფიქსირებდა, თუმცა ჯერ კიდევ გრძელი გზა რჩებოდა გასავლელი. მინდა, გკითხოთ, სადღეისოდ კონკრეტულად რომელი მიმართულებით იკვეთება პრობლემები და კიდევ რა კონკრეტულ საკითხებზე აქვს სამუშაო საქართველოს, რომ ალიანსის კრიტერიუმები სრულად დააკმაყოფილოს?

— საქართველო გახდება ნატოს წევრი, როდესაც წევრობისთვის აუცილებელ კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს. გვაქვს მოლოდინი, რომ საქართველო განაგრძობს ფოკუსირებას დემოკრატიულ რეფორმებზე, დემოკრატიული ინსტიტუტების კონსოლიდაციაზე, კანონის უზენაესობის გაძლიერებასა და ნატოს სტანდარტების შესაბამისად თავდაცვისუნარიანობის განვითარებაზე.

ჩვენ შევქმენით რამდენიმე მექანიზმი, რათა საქართველოს უფრო მეტად დავეხმაროთ რეფორმების გატარებაში. ნატო-საქართველოს კომისია, წლიური ეროვნული პროგრამა, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი და წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრი ეფექტური საშუალებებია საქართველოს დასახმარებლად, შესაბამისობაში მოვიდეს ნატოს სტანდარტებთან და მოემზადოს წევრობისთვის.

სადღეისოდ საქართველოში ჩვენი მოკავშირეების ბევრი ექსპერტი მუშაობს და ქართულ მხარეს თავდაცვის რეფორმების კუთხით რჩევებს აძლევს. ჩვენ კვლავაც განვაგრძობთ საქართველოს დახმარებას, რომ კიდევ უფრო დაუახლოვდეს ნატოს.

— „ჰერითიჯის ფონდის“ მკვლევარი ლუკ კოფი ამას წინათ გამოქვეყნებულ სტატიაში აღნიშნავს, რომ ბევრი ქვეყანა ნატოს მაპ-ის გარეშე შეუერთდა და რომ ალიანსში გასაწევრებლად მაპი არც საქართველოს სჭირდება. მისი აზრით, ქართველების მხრიდან მაპის მუდმივ მოლოდინს რუსეთი პროპაგანდისთვის იყენებს. არადა, როგორც ადრე ითქვა, მაპი აუცილებელი საფეხურია საქართველოსთვის ალიანსში გასაწევრებლად. იქნებ კიდევ ერთხელ, დამაჯერებელი პასუხი გაგვცეთ კითხვაზე, აუცილებელია თუ არა საქართველოსთვის მაპი?

— თითოეულ სუვერენულ ქვეყანას უფლება აქვს, თავად აირჩიოს, რომელ ხელშეკრულებას ან ალიანსს შეუერთდეს. ეს პრინციპი დაცულია საერთაშორისო შეთანხმებებით, მათ შორის — „ჰელსინკის დასკვნითი აქტით“ და ნატოსა და რუსეთს შორის გაფორმებული „დამფუძნებელი აქტით“, რომლებსაც რუსეთი აწერს ხელს. ალიანსი მხარს უჭერს ყველა მისი პარტნიორის უფლებას, თავად გააკეთოს დამოუკიდებელი და სუვერენული არჩევანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხში. ასე რომ, არც ერთ მესამე ქვეყანას არა აქვს უფლება, ნატოში გაწევრების საკითხში ჩაერიოს.

სადღეისოდ საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული საშუალება, რომ მოემზადოს ნატოს წევრობისთვის. საქართველო გახდება ნატოს წევრი, როცა ამისათვის საჭირო კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს. თუმცა სანამ საქართველო შეძლებს, ნატოს შეუერთდეს, მანამდე კონსენსუსის გზით აუცილებლად უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება „MAP“—ის შესახებ. ეს შეესაბამება ბუქარესტის 2008 წლის სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებებს და მოკავშირეებმა იგივე დაადასტურეს ვარშავის სამიტზეც. თუმცა, ისევ და ისევ, ახლა აქცენტი კეთდება რეფორმების კუთხით დაწინაურებაზე და საქართველოს მომზადებაზე საბოლოო წევრობისთვის, როგორც ეს ათი წლის წინათ გადაწყდა.

— რა მდგომარეობაა ამჟამად თავად ალიანსში? რამდენად ერთიანია ნატო და რამდენად ძლიერი, რომ მსოფლიოში რუსეთის აგრესიული პოლიტიკა სათანადოდ შეაკავოს?

— ჩვენი მიდგომა რუსეთის მიმართ ძლიერ თავდაცვასა და დიალოგს აერთიანებს. ნატომ რუსეთის მიერ მისი მეზობლების წინააღმდეგ სამხედრო ძალების გამოყენებას თავდაცვითი და პროპორციული გზით უპასუხა. ამ ეტაპზე ჩვენი რომელიმე მოკავშირის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ საფრთხეს ვერ ვხედავთ, თუმცა აღმოსავლეთით და სამხრეთით არსებული გამოწვევების გამო უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა ფუნდამენტურად შეიცვალა. საპასუხოდ ჩვენ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ კოლექტიური თავდაცვის ყველაზე დიდი გაძლიერების იმპლემენტაციის პროცესში ვართ.

ჩვენ არ გვსურს რუსეთთან დაპირისპირება, მაგრამ რუსეთის მიერ საერთაშორისო წესების დარღვევის იგნორირებაც არ შეგვიძლია. თუმცა ძლიერ თავდაცვასა და შინაარსიან დიალოგს შორის წინააღმდეგობა არ არის. როცა დაძაბულობები მატულობს, მაშინ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კომუნიკაციის არხების ღიად შენარჩუნება, რათა გამჭვირვალობა გაიზარდოს და რისკები შემცირდეს. ვინარჩუნებთ სამხედრო კომუნიკაციას. გასულ წელს სამჯერ გავმართეთ ნატო-რუსეთის საბჭოს სხდომა. სულ ახლახან მიუნჰენში საგარეო საქმეთა მინიტრ სერგეი ლავროვს შევხვდი. ჩვენ ღია ვართ რუსეთთან პერიოდული და შინაარსიანი დიალოგისთვის.

— მართალია, მორიგ სამიტამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ მაინც გკითხვათ, ყოველივე ზემოთთქმულის გათვალისწინებით, რას შეიძლება, ელოდოს საქართველო ალიანსის მორიგი სამიტისგან?

— სამიტზე ყურადღება გამახვილდება ნატოს სამომავლო ნაბიჯებზე უსაფრთხოების გარემოში ადაპტირების კუთხით. ვიმუშავებთ ორ მთავარ თემაზე: პირველი — როგორ გავაუმჯობესოთ კიდევ უფრო მეტად ჩვენი კოლექტიური თავდაცვა ჩვენი შესაძლებლობებისა და საჭირო რესურსების გათვალისწინებით; და მეორე — როგორ დავამყაროთ სტაბილურობა ჩვენს სამეზობლოში. ეს აუცილებელია როგორც ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე ჩვენი საკუთარი უსაფრთხოებისთვის.

ამასთან, ჩვენ განვიხილავთ სხვა მნიშვნელოვან თემებს, მათ შორის — ჩვენს თანამშრომლობას ევროკავშირთან, იმას, თუ როგორ შევუწყოთ ხელი ნატოს მოდერნიზებას. ამასთანავე, მივიღებთ გადაწყვეტილებებს სარდლობის ადაპტირებულ სტრუქტურაზე. თანამედროვე, სწრაფი და ძლიერი სარდლობის სტრუქტურა გააძლიერებს ალიანსის თავდაცვისა და შეკავების პოლიტიკას და ჩვენს უნარიანობას, დავიცვათ უსაფრთხოება.

როგორც ყოველთვის, ბრიუსელის სამიტზეც მოკავშირეები განიხილავენ ნატოს ღია კარის პოლიტიკასთან დაკავშირებულ ყველა ასპექტს, მათ შორის — საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს. დარწმუნებული ვარ, სამიტზე საქართველოს პროგრესი წევრობის მიმართულებით სათანადოდ იქნება აღნიშნული.

მარიკა ჩუბინიძე,
საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“

ზღვის დონე დაახლოებით 1 მეტრით მოიმატებს!

დედამიწაზე ზღვის დონის თანდათანობითი მატება შემდეგი ათწლეულების და სულ ცოტა, ორი ასწლეულის მანძილზე გაგრძელდება. სათბურის გაზების გამოყოფა სრულად რომ შეჩერდეს და ყველა სახელმწიფომ ზედმიწევნით შეასრულოს პარიზის კლიმატური შეთანხმების თითოეული მუხლის ყველა პარაგრაფი, წყლის დონის მატების შეჩერება მაინც შეუძლებელი იქნება — აცხადებენ მეცნიერები.

თუმცა, მათი აზრით, ძირითადად გრენლანდიის და ანტარქტიდის ყინულის დნობით გამოწვეული ზღვის დონის ზრდის ოდნავ შენელება ჯერ კიდევ რეალურია. ოღონდ, ამისთვის არასაკმარისია ის ნაბიჯები, რაც დღეს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე იდგმება. მათ შორის, არც ზემოთ ნახსენები, 2015 წლის გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო-კონვენციის ფარგლებში დაგეგმილი ქმედითი ღონისძიებებია.

პარიზში მიღებული შეთანხმება ემისიების შემცირებისკენ მიმართული გლობალური ძალისხმევის გაძლიერებას და მის ფინანსურ უზრუნველყოფას ისახავს მიზნად. ერთ-ერთი მთავარი პუნქტი, რაზეც 200-მდე ქვეყნის ლიდერი შეთანხმდა, მდგომარეობს იმაში, რომ მონაწილე სახელმწიფოები შეეცდებიან დედამიწაზე ტემპერატურის ზრდა, რომელიც სათბურის გაზების გამოყოფას უკავშირდება, როგორმე ორი გრადუსის (ცელსიუსით) ფარგლებს არ გასცდეს. პარიზის კლიმატურ შეთანხმებას 2016 წელს საქართველოც შეუერთდა.

ახალი ანგარიშის მიხედვით, ზღვის დონე დედამიწაზე სხვადასხვა ადგილებში 15 სანტიმეტრიდან მეტრ და 20 სანტიმეტრამდე აიწევს, რაც მსოფლიოს სანაპირო ზოლებს, კუნძულების და კონტინენტების მონახაზს დრამატულად შეცვლის. წყლის სიმაღლის მატება შეეხება კუნძულოვან სახელმწიფოებს, ასევე დიდი, თუ მცირე ზღვისპირა დასახლებების უმეტესობას. შეიცვლება ისეთი მნიშვნელოვანი მრავალმილიონიანი ქალაქების ცხოვრება, როგორიცაა ლონდონი და ნიუ-იორკი, შან-ხაი და მაიამი.

წყლის ტემპერატურის ზრდის გამო, მისი მოცულობის გაფართოება და ყინულის დნობით ზღვის დონის თანდათანობითი მატება შემდეგი სულ ცოტა, 200 წლის მანძილზე გაგრძელდება და ეს გარდაუვალია — ნათქვამია ანგარიშში, რომლის ავტორია მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფი, რომელსაც გერმანელი მკვლევარები ხელმძღვანელობდნენ. მათი პროგნოზით, ემისიების შეზღუდვის ყოველი ხუთწლიანი დაყოვნება, 2300 წლამდე წყლის დონეს 20-20 სანტიმეტრით გაზრდის.

„ზღვის დონის ზრდას ხშირად ძალიან ნელ პროცესად აღიქვამენ, რასაც დიდად ვერაფრით შეცვლი... მაგრამ, შემდეგი 30 წელიწადი ამ საქმეში ნამდვილად გადამწყვეტი იქნება“, — აღნიშნავს ანგარიშის წამყვანი ავტორი მათეუს მენგელი სააგენტო „როიტერთან“ საუბარში. ის კლიმატის ზემოქმედების კვლევათა პოტსდამის ინსტიტუტის პროფესორია.

მეცნიერის თქმით, პარიზის შეთანხმებაში მონაწილე ქვეყნები მის შესრულებაზე არასაკმარისად ზრუნავენ და დასახულ გეგმებს ჩამორჩებიან. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ სათბურის გაზების თანაბრად გამოყოფის სამწლიანი ინტერვალის შემდეგ, 2017 წელს, შემცირების ნაცვლად, ემისიების მოცულობა პირიქით, გაიზარდა.

მაია ქვარცხავა

კინოფესტივალი „თაობა“ თაობათა აღზრდისთვის

თბილისში ახალგაზრდული კინოფესტივალი „თაობა“ დაარსდა, რომელიც კულტურისა და განათლების ფონდის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ერთობლივი ორგანიზებით, 2018 წლის 29 მარტიდან 2 აპრილის ჩათვლით მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ჩატარდება. პროექტი განხორციელდება საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პირველი დამოუკიდებელი რესპუბლიკების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით. 2019 წლიდან ფესტივალი ყოველწლიურ სახეს მიიღებს როგორც სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალი.

კინოფესტივალ „თაობას“ დაარსების, მიზნებისა და სამომავლო გეგმების შესახებ ფესტივალის დირექტორმა ლევან დვალმა „რეპორტიორთან“ ინტერვიუში ისაუბრა.

— საიდან გაჩნდა კინოფესტივალ „თაობის“ დაარსების იდეა?

— გუნდს, რომელიც კინოფესტივალს ვაკეთებთ, გვაქვს ფესტივალის მენეჯმენტის რამდენიმეწლიანი გამოცდილება. გვინდოდა, შეგვექმნა პროექტი, რომელსაც ექნებოდა განვითარების დიდი შესაძლებლობა, იქნებოდა ქართული, რადგან, მოგეხსენებათ, სამხრეთ კავკასიაში მსგავსი მასშტაბის ახალგაზრდული კინოფესტივალის ჩატარება, რომელშიც სამივე ქვეყანა იქნება ჩართული, წარმოუდგენელია. ძალიან ბევრი სხვადასხვა ვარიანტის განხილვის შემდგომ ვთქვით, რომ კარგი იქნებოდა, თუ შევქმნიდით ახალგაზრდულ კინოფესტივალს, რომელიც რეალურად მიმართულია აუდიტორიის განვითარებაზე.

— რა არის ფესტივალის არსი და მიზანი?

— ეს არ არის სტანდარტული კინოფესტივალი, სადაც დღის განმავლობაში შეგიძლია, რამდენიმე ფილმს უყურო. ეს არის დაბალანსებული როგორც კულტურის, ასევე განათლების კომპონენტით იმისთვის, რომ მოვახდინოთ ახალგაზრდა აუდიტორიის განვითარება შემდეგი მიმართულებებით — კომუნიკაცია, საჯარო გამოსვლის უნარი, შემოქმედებითი, კრიტიკულ-ანალიტიკური აზროვნება, ტოლერანტობა და ა.შ. უნარები, რომლებიც ახალგაზრდებს სჭირდებათ იმისთვის, რომ თანამედროვე სამყაროში იარსებონ და იყვნენ მისი განუყოფელი ნაწილი.

— რით განსხვავდება „თაობა“ იმ კინოფესტივალებისგან, რომლებიც ტარდება საქართველოში?

— საქართველოში ტარდება რამდენიმე ახალგაზრდული კინოფესტივალი, ოღონდ ისინი არის მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალი. მაგალითისთვის შევადაროთ „თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალს“.

„თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი“ არის კლასიკური ტიპის კინოფესტივალი თავისი უცხოელი სტუმრებით, ბევრი ფილმით... „თაობა“ არის მასშტაბური კინოფესტივალი, რომელიც მიმართული იქნება აუდიტორიის განვითარებაზე და რომელშიც ჩართული იქნება მთელი სამხრეთ კავკასია. ასეთი ფესტივალი არ ტარდება არც სომხეთში, არც აზერბაიჯანში... რეალურად, მსგავსი კინოფესტივალი საქართველოში, სამწუხაროდ, არ გვაქვს.

გამონაკლისი არის „სინედოკი“, რომელსაც აქვს CineDOC Young სექცია, ოღონდ ის ჩვენგან განსხვავებით, არის დოკუმენტური. ჩვენ ფოკუსირებული ვართ მხატვრულ კინოზე, სრულმეტრაჟიან ფილმებზე, რომლებიც ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვან თემატიკას შეეხება.

— ვის აქვს ფესტივალში მონაწილეობის საშუალება და რა ეტაპების გავლაა ამისთვის საჭირო?

— ფესტივალში მონაწილეობის საშუალება აქვს 13-18 წლის ჩათვლით საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ ახალგაზრდას. დარეგისტრირება ხდება ძალიან მარტივი ფორმის შევსებით. წელს 300-მდე ახალგაზრდა იქნება შერჩეული.

— სახელი „თაობა“ რა ნიშნით შეირჩა?

— სახელზე მუშაობამ ყველაზე მეტი დრო წაიღო ორგანიზატორების მხრიდან, რადგან ვეძებდით ისეთ სახელს, რომელიც სრულად გამოხატავდა ფესტივალის კონცეფციას. მიზეზი, რატომაც დავარქვით „თაობა“, არის ის, რომ ჩვენ ვეძებთ თაობებს, რომლებიც არიან განსხვავებულები, ინდივიდუალურები, თავისი ინტერესებით, სურვილებით, მიზნებით, გეგმებით, მაგრამ ამავდროულად ქმნიან ერთიან თანამედროვე საზოგადოებას.

— როგორია თქვენი მოლოდინი და ფესტივალის სამომავლო გეგმები?

— შემდეგ წელს ფესტივალი გახდება საერთაშორისო, რომელშიც საქართველოს გარდა ჩართული იქნება კიდევ ხუთი ქვეყანა. ფესტივალს ნამდვილად ძალიან დიდი რესურსი აქვს, რადგან მისი მხარდამჭერები ამ ეტაპისთვის არიან — საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, გოეთეს ინსტიტუტი საქართველოში, ნიდერლანდების სამეფოს კულტურის საერთაშორისო ფონდი „კავკასია“, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო.

მოზარდებს, ვინც გაივლიან პროდიუსინგს, მთელი წლის განმავლობაში დავეხმარებით იმაში, რომ თავადვე დაუკავშირდნენ საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალებს, შეავსონ განაცხადები და გააგზავნონ, ანუ გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარები.

შემდეგ წელს ვფიქრობთ, რომ შეგვეძლება ნეთვორქინგის საერთაშორისო პლატფორმის დამატება, რაც გულისხმობს ფესტივალის პარალელურად დაახლოებით 5-დღიან პროგრამას ახალგაზრდული კინოფესტივალებისთვის. 5-10 საერთაშორისო ახალგაზრდული კინოფესტივალის მენეჯმენტის ჩამოყვანა შეგვიძლია თბილისში იმისთვის, რომ ერთობლივი პროექტები დაიგეგმოს და საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს მივცეთ საშუალება, სხვადასხვა ქვეყნის ფესტივალებში მიიღონ მონაწილეობა. ეს არის მთელი არსი. ვცდილობთ, მაქსიმალური შესაძლებლობა მივცეთ ახალგაზრდებს სწავლის, განვითარებისა და უცხოური კულტურების გაცნობისათვის.

მარიამ პაიჭაძე

◎ „ოსკარი“ — 90

საინტერესო ფაქტები „ოსკარის“ ისტორიიდან

„ოსკარს“ თუ „ოსკარებს“ — კინოს ბიზნესში ყველაზე ავტორიტეტულ ჯილდოს — წელს 90-ე იუბილე აქვს.

ეს ფეშენებელური კინომოვლენა 1929 წლის შემდეგ იპყრობს კინოს მოყვარულთა წარმოსახვას მთელ მსოფლიოში. 90-ე ცერემონია, რომელზეც პრემიებს ამერიკის კინოაკადემია გასცემს, ჰოლივუდში გაიმართება.

რა დაგვამახსოვრდა „ოსკარების“ ისტორიიდან?

1929: „ოსკარის“ გადაცემის პირველი ცერემონია გაიმართა 1929 წლის 16 მაისს ჰოლივუდში, რუზველტის სასტუმროში, და მას მსახიობი დაგლას ფეირბენკსი უფროსი მასპინძლობდა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა „საუკეთესო ფილმის“ ნომინაციაში გაიმარჯვა ე.წ. „მუნჯი კინოს“ ნიმუშმა — რომანტიკულმა ფილმმა „ფრთები“, რომელშიც მოქმედება პირველი მსოფლიო ომის დროს ვითარდება.

1939: აკადემიამ ოფიციალურად დაიწყო სახელ „ოსკარის“ დარქმევა თავისი პრემიებისთვის. დაუდასტურებელი, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციით, ამ სახელის ისტორია უკავშირდება აკადემიის ბიბლიოთეკარს მარგარეტ ჰერიკს, რომელსაც უთქვამს, ეს სტატუეტი ბიძაჩემ ოსკარს ჰგავსო.

1940: ჰატი მაკდენიელი გახდა პირველი შავკანიანი მსახიობი, რომელმაც „ოსკარი“ მოიპოვა. მსახიობს პრემია გადასცეს ქალის მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმში „ქარწაღებულნი“. მაკდენიელი ცერემონიაზე იძულებული იყო, სეგრეგირებულ, განცალკევებულ მაგიდასთან მჯდარიყო. მას შემდეგ 51 წელი გავიდა, სანამ „ოსკარს“ სხვა შავკანიანი მსახიობი ქალი მოიპოვებდა - ვუპი გოლდბერგი, ფილმისათვის „მოჩვენება“.



1953: „ოსკარები“ პირველად გადაიცა ტელევიზიით. შოუს წამყვანმა, ბობ ჰოუპმა, ეს მოვლენა აღნიშნა სიტყვებით: „ხომ ამაღელვებელია იმის ცოდნა, რომ ამ მომხიბვლელი ვარსკვლავებიდან ბევრი ამ საღამოს თქვენს სახლებში იქნება? მთელი ამერიკის მასშტაბით, დიასახლისები ქმრებს მიმართავენ: „პერანგი ჩაიცვი, დღეს ჯოან კროუფორდი მოდის“.

1963: სიდნი პუატიე გახდა პირველი შავკანიანი მამაკაცი, რომელმაც „ოსკარი“ მოიპოვა როლისთვის ფილმში „მინდვრის შროშანები“.

1968: „ოსკარებით“ დაჯილდოების ცერემონია ორი დღით გადაიდო მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობის გამო 4 აპრილს.

1969: ამ წელს იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა, როცა საუკეთესო მსახიობი ქალის კატეგორიაში პრემია გაიყო. კეთრინ ჰეპბერნს პრემია მიენიჭა როლისათვის ფილმში „ლომი ზამთარში“, ბარბარა სტრეიზანდს — როლისათვის სურათში „სასაცილო გოგონა“. ჰეპბერნი ცერემონიას არ დასწრებია.

1973: „ოსკარი“ მარლონ ბრანდოს ერგო ვიტო კორლეონეს როლისთვის ფილმში „ნათლია“, მაგრამ ცერემონიას ბოიკოტს უცხადებს — აპროტესტებს ამერიკელი ინდიელების დამკვიდრებულ სტერეოტიპებს ფილმებსა და ტელევიზიაში. ბრანდოს ნაცვლად სცენაზე გადის ამერიკელი ინდიელი აქტივისტი ქალი, ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი საშინ ლიტლფეზერი, რომელიც ბრანდოს სახელით უარს ამბობს სტატუეტის აღებაზე.

2002: ჰოლი ბერი გახდა პირველი და დღემდე ერთადერთი შავკანიანი ქალი, რომელსაც „ოსკარი“ გადაეცა ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმში „ურჩხულთა მეჯლისი“. თავისი პრემია მან მიუძღვნა „ყველა უსახელო, უსახო არათეთრკანიან ქალს, რომელსაც ახლა შანსი მიეცა, რადგან დღეს ეს კარი გაიხსნა“.

2003: „ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება“ „ოსკარების“ ისტორიაში ერთგვარი რეკორდსმენი გახდა — სურათმა პრემია მოიპოვა ყველა კატეგორიაში, რომელშიც წარდგენილი იყო. ამასთან, ის გახდა ისტორიაში მესამე ფილმი, რომელსაც 11 ოსკარი ერგო — 1997 წლის „ტიტანიკის“ და 1959 წლის „ბენ ჰურის“ შემდეგ.

ასევე 2003 წელს რომან პოლანსკის მიაკუთვნეს საუკეთესო რეჟისორის „ოსკარი“ ჰოლოკოსტის შესახებ გადაღებული ფილმისთვის „პიანისტი“. თუმცა მან ლოს ანჯელესში ჩასვლა ვერ შეძლო. აშშ-ში მას სისხლის სამართლებრივი ბრალდება ელოდა 1977 წელს არასრულწლოვანის გაუპატიურების გამო. აუდიტორია მის „ოსკარს“ ფეხზე ადგომითა და ოვაციებით შეხვდა.

2009: კეთრინ ბიგელოუ გახდა პირველი ქალი, რომელსაც „ოსკარი“ სარეჟისორო ნამუშევრისთვის ერგო ფილმში „ქარიშხლის მბრძანებელი“.

2016: რიგით მეორე წელს მსახიობის ნომინაციებში წარდგენილი ოცივე კანდიდატი თეთრკანიანია, რაც იწვევს მწვავე კრიტიკას და სოციალურ მედიაში გაჩენილ“ #OscarsSoWhite. პროტესტის პასუხად, აკადემია აცხადებს, რომ გეგმავს, გააძლიეროს ქალთა და უმცირესობათა წარმომადგენლობა.

2017: „მთვარის შუქი“ გახდა პირველი ფილმი, რომელშიც მხოლოდ შავკანიანი მსახიობები თამაშობდნენ და რომელმაც „ოსკარი“ საუკეთესო ფილმის ნომინაციაში მიიღო, თუმცა პირველ წუთებში, კულისებში არეული კონვერტების გამო, გამარჯვებულ ფილმად გამოაცხადეს მიუზიკლი „ლა ლა ლენდი“.

მასალა მომზადებულია საგენტო „როიტერს ზე“ დაყრდნობით.

რადიო „თავისუფლება“

◎ თანამშრომლობა

ხელშეკრულება 2 წლით გაგრძელდა

ვითიბი ბანკი საქართველოს ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორი კიდევ 2 წლის განმავლობაში იქნება. მხარეებს შორის შეთანხმებას გუშინ ხელი ფეხბურთის ფედერაციაში სფფ-ს პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა და ვითიბი ბანკის ფინანსურმა დირექტორმა მამუკა მენთეშაშვილმა მოაწერეს.

პარტნიორებმა გასული თანამშრომლობა შეაფასეს და მომავალი 2 წლის მოლოდინებზე ისაუბრეს.

„მოხარული ვარ, რომ ჩვენი წარსული თანამშრომლობა სასიკეთო გამოცდილებად იქცა ორივე მხარისთვის და სწორედ ამის დასტურია ის, რომ დღეს ჩვენ ურთიერთობის გაგრძელებაზე შევთანხმდით. სასიამოვნოა, რომ ვითიბი ბანკი კვლავ ჩვენი პარტნიორი იქნება და ერთობლივად გავაგრძელებთ საქართველოს ეროვნული ნაკრების მხარდაჭერას.“ — განაცხადა ლევან კობიაშვილმა

„ვითიბი ბანკი კვლავ იქნება საქართველოს ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორი. ჩვენ გვჯერა, რომ ამ გზით ჩვენი წვლილი შეგვაქვს ქართული ფეხბურთის განვითარებაში. წარმატებას ვუსურვებთ ჩვენს პარტნიორს — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, საქართველოს ეროვნულ ნაკრებსა და, ზოგადად, ქართულ ფეხბურთს,“ — აღნიშნა მამუკა მენთეშაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ ვითიბი ბანკი საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების გენერალური სპონსორი 2016 წლიდან არის.

გიორგი ზოთაძე

◎ მოულოდნელი რაკურსით

მთაო, სპორტით ხარ ძლიერი...

ზოგი ჭირი მართლაც რომ მარგებელი ყოფილა.

სტომატოლოგიურ კლინიკა „დენსში“ რამდენიმე თვის წინათ მისული ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ დღევანდელი წერილისთვის აქტუალურ საკბილოს ჩავავლებდი, მაგრამ, ხომ გსმენიათ, გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო.

მოკლედ, ჩემმა ძველმა მოკეთემ, ყბა-სახის აღიარებულმა ქირურგმა გიორგი ქოჩიაშვილმა, რომელთანაც მერხის მეგობარ, აწ განსვენებულ მისსავე კოლეგა კახა მაზმიშვილთან ერთად გატარებული სტუდენტობის ძვირფასი წლები მაკავშირებს, ახალგაზრდა სპეციალისტებს — ნათია რობაქიძესა და თათია როხვაძეს ჩააბარა ჩემი თავი, რომლებიც, რომ იტყვიან, თან გადამყვნენ და პროფესიონალიზმთან ერთად პიროვნული თვისებებითაც მომხიბლეს. ვსარგებლობ შემთხვევით და მათ დამდეგ დედის დღეს ვულოცავ!

ბუნებრივია, მკურნალობის პროცესში მხსნელ ანგელოზთა ცხოვრებისეული გზითაც დავინტერესდი და გაირკვა, რომ თათიას მამამთილი ლეჩხუმელ სპორტულ მოღვაწეთა ღირსეული წარმომადგენელი ყოფილა. ჰოდა, მეც მეტი რაღა მინდოდა...

ბატონ გია სილაგაძეს გუშინ თბილისის მერიის ვაჟა კაჭარავას სახელობის ოლიმპიური მზადების სპორტული ცენტრის დარბაზში შევხვდი, სადაც ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები იმართება. ფრენბურთის კლუბ „ცაგერის“ 1964 წელს დაბადებული დირექტორი ზოგიერთ შეგირდზე ჭაბუკურად გამოიყურება და გვიამბობს:

— ბევრი თანატოლის მსგავსად, სპორტს ფეხბურთით გავუგე გემო — ჯერ მშობლიურ „ხვამლში“ ვთამაშობდი, ხოლო შემდეგ — სოხუმის „სუბტროპიკში“. ამას მოჰყვა საგზაო პოლიციაში გატარებული პერიოდი და ისევ საყვარელ საქმეს დავუბრუნდი — რაიონის სპორტის, ახალგაზრდობის, ტურიზმისა და ძეგლთა დაცვის სამსახურში სპორტის მთავარ სპეციალისტად დამნიშნეს. სწორედ მისი რეორგანიზაციის შემდეგ ჩამოყალიბდა კლუბი „ცაგერი“, რომელიც ჩვენი მთიანი რეგიონისთვის ტრადიციულ სახეობაში, დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული, ეროვნული ჩემპიონატების უცვლელი მონაწილეა.

— ტრადიციებს, მოგეხსენებათ, გაფრთხილება უნდა...

— ასეცაა — საილუსტრაციოდ გეტყვით, რომ ეროვნული ნაკრების თავკაცი სულხან ახვლედიანი ჩვენი კუთხიდანაა ისევე, როგორც 2015 წელს საქართველოში გამართული ახალგაზრდული ოლიმპიადის მსაჯები თემურ ჭაბუკიანი, დავით ლიპარტელიანი და თომა კალანდაძე. სხვათა შორის, დავითი წლების განმავლობაში კაპიტნობდა ეროვნულ ნაკრებს და ამჟამად ჩვენი გუნდის მთავარი მწვრთნელია, ხოლო თემური თსუ-ში ავარჯიშებს მომავალ თაობას.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ გუნდის შენახვას როგორ ახერხებთ?

— დასამალი არაფერია — სული ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით გვიდგას, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვან მოვლენად უნდა მივიჩნიოთ აქამდე აუხდენელ ოცნებად ქცეული საკითხის მოგვარება: დიახ, დასრულების პროცესშია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი უნივერსალური სპორტული კომპლექსის მშენებლობა. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს შესაძლებელი გახდა ხელისუფლებაში „ქართული ოცნების“ მოსვლის შედეგად და დაახლოებით სამი მილიონი ლარი დაჯდა.

— ალბათ, პერსპექტივაზეც გექნებათ ნაფიქრი.

— რასაკვირველია — დღესდღეობით 4 ასაკობრივი ჯგუფი გვყავს 56 მოზარდით. ვიმედოვნებ, რომ ახალი კერა მასობრიობის გაზრდასაც შეუწყობს ხელს და, ლოგიკურად, წარმატებებიც უფრო მეტი გვექნება.

— თუმცა, როგორც ცნობილია, ღირსეული შედეგების დეფიციტს ისედაც არ განიცდით...

— მართალი ბრძანდებით — უკანასკნელ წლებში რეგულარულად ვიკავებთ საპრიზო ადგილებს ეროვნულ ჩემპიონატებში. თქვენ წარმოიდგინეთ, უკვე ჩვენი მხარისათვის ისეთი უცხო ხილიც კი დავაჭაშნიკეთ, როგორიცაა საპლიაჟო (ქვიშის) ფრენბურთი და სამჯერ აქაც მოვიპოვეთ მედლები.

დავძენ, რომ ზემოხსენებულმა ტრიომ აღმოსავლეთ ევროპის პირველობაზეც იმსაჯა.

ასე რომ, გაგრძელება იქნება...

გია პლატონიშვილი

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ გახსენება

ოთარ მიმინოშვილი ვალმოხდილი წავიდა

გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მიწურულსა და სამოციან წლებში მისი გვარი ხშირად ხვდებოდა ქართული პრესის ფურცლებზე, რადგან „ქართული წყალბურთის ოდისევსის“, როგორც მას მოხდენილად უწოდა ცნობილმა ჟურნალისტმა არჩილ გოგელიამ, ყოველი გარღვევა გოლით მთავრდებოდა. თბილისის „დინამომ“ კი, რომლის შემადგენლობაშიც ოთარ მიმინოშვილი გამოდიოდა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებზე ორჯერ ვერცხლისა და სამჯერ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ხოლო საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადებზე თითოჯერ მეორე და მესამე ადგილები დაიკავა.

მისი სპორტული ბიოგრაფია ქუთაისში, კერძოდ, ბალახვანში დაიწყო. თანატოლებთან ერთად თამაშობდა ფეხბურთს, კალათბურთს. ჯანმაგარი ყმაწვილი მეგობრებმა თავისუფალი ჭიდაობის ცნობილ მწვრთნელ ვალიკო გიგიაძეს წარუდგინეს. ოთარმაც საჭიდაო ხალიჩაზე რამდენიმე წელიწადი გაატარა. პერსპექტიულ მოჭიდავედ მიიჩნევდნენ, მაგრამ ბედნიერმა შემთხვევამ ძირფესვიანად შეცვალა მისი სპორტული გზა.

— ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, რიონზე წავედით საბანაოდ, — მითხრა ბატონმა ოთარმა. — ცურვით გული რომ ვიჯერეთ და ქვიშიან ნაპირზე ვირუჯებოდით, უცხო კაცი წამოგვადგა თავზე. დიმიტრი ხორავა ვარო, გაგვეცნო. რამდენიმე ბიჭს გვთხოვა, ხვალ დილით იქნებ ლითოფონის ქარხანაში მოხვიდეთო...

ყმაწვილები დილაადრიან მიადგნენ ქარხნის ეზოს. იქ უკვე მათს თანატოლებსაც მოეყარათ თავი. მერე დიმიტრიც გამოჩნდა. შეკრებილთ აუწყა, წყალბურთის გუნდი უნდა ჩამოვაყალიბოთ, რომ გაისად სპარტაკიადაზე გამოვიდეთო. ახალგაზრდებს მოეწონათ ეს იდეა და იმ დღიდანვე შეუდგნენ საქმეს. ლითოფონის ქარხანას ერთი უზარმაზარი წყლის ავზი ჰქონდა, რომელიც მხოლოდ დილაობით იყო სავსე, ამიტომ უთენია მიდიოდნენ, რომ ავზის დაცლამდე ევარჯიშათ. ეს იყო 1955 წელს.

მომდევნო წელს ქუთაისელმა წყალბურთელებმა პირველ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე იასპარეზეს. მართალია, თბილისის, აჭარისა და აფხაზეთის გუნდებს ვერ გაუსწრეს, მაგრამ რიონისპირელთა ლიდერი გივი ჩიქვანაია თბილისის „დინამომ“ დაიტოვა. 1957 წელს ოთარ მიმინოშვილი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებში ჩარიცხეს, რომელმაც იმავე წელს რიგაში თანატოლთა საკავშირო სპარტაკიადა მოიგო, მომდევნო წელს კი თბილისში ეს ტიტული შეინარჩუნა.

ოთარ მიმინოშვილისთვის 1958 წელი უხვმოსავლიანი აღმოჩნდა. მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის შემდეგ თბილისის „დინამოს“ ოსტატ წყალბურთელთა გუნდის წევრი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, ხოლო ხუთი წლის შემდეგ ფაკულტეტის დეკან შოთა მესხიასა და აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას რეკომენდაციით ასპირანტურაში ჩაირიცხა.

— ოთარ მიმინოშვილი უნივერსალური წყალბურთელი გახლდათ, — ამბობს თბილისის „დინამოს“ წყალბურთელთა გუნდის სახელოვანი თაობის წარმომადგენელი მურთაზ გულედანი. — **უნიკალური თვისებების მქონე თავდამსხმელის შეჩერება მეტოქეთა მცველებს ძალიან უჭირდათ. ის ყველასგან გამოირჩეოდა თამაშის სტილით, გოლის გატანის დაუოკებელი სურვილით. მისთვის დამახასიათებელი იყო ბურთის ელვისებური ტყორცნა, გონებამახვილური პასი, არასტანდარტული სათამაშო სტილი და აზროვნება, რასაც ლიდერის თვისებები ემატებოდა. ოთარი მუდამ ამოუცნობი იყო მეტოქეებისთვის, ხშირად გაჰქონდა გადამწყვეტი გოლები. საოცარი შეფასების უნარით გამოირჩეოდა. მისი ინტუიცია ინტელექტთან იყო დაკავშირებული. ამიტომაც არის რამდენიმე მონოგრაფიის, წიგნისა და ათობით სტატიის ავტორის ნაწერები ორიგინალური.**

ცნობილი წყალბურთელი, რომელიც რვა წელიწადს თბილისის „დინამოს“ უცვლელი კაპიტანი გახლდათ, დიდ სპორტთან განშორების შემდეგ წლების განმავლობაში თსუ-ში ლექციებს კითხულობდა, ჯერ საკანდიდატო, შემდეგ სადოქტორო დისერტაციები დაიცვა. საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ბითაძემ მითხრა: **უნივერსიტეტში ბატონი ოთარი მასწავლიდა და ისე საინტერესოდ კითხულობდა ლექციებს, მეცადინეობებს ვერ ვაცდენდითო.** მისი სტუდენტები იყვნენ ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები. რომ არა ლექტორის გულისხმიერება, შესაძლოა, ბევრ ათლეტს სწავლისთვის თავიც დაენებებინა...

ერთი წლის წინათ ოთარ მიმინოშვილი ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან. მის ღვაწლს შთამომავლობა არასდროს დაივიწყებს.

ვაჟა დანელია

◎ კიბო – ავთვისებიანი სიმსივნე

ბრძოლა „თვითგანადგურების მექანიზმის“ წინააღმდეგ

ავთვისებიანმა სიმსივნემ არაერთი დიდებული ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მათ შორის არიან ლუჩანო პავაროტი, მარჩელო მასტროიანი, სტივ ჯობსი, რამაზ ჩხიკვაძე და მრავალი სხვა. ჰოლივუდისა და მსოფლიო კინოს ულამაზესმა ვარსკვლავმა ანჯელინა ჯოლიმ კი, იმის შიშით, რომ დედისა და ბებიის ბედი არ გაეზიარებინა, რომლებიც მკერდის კიბოთი გარდაიცვალნენ, ორივე სარძევე ჯირკვალი ამოიკვეთა. თქვენ გგონიათ, ეს ზედმეტად რადიკალური საქციელია? ამ კითხვაზე ცალსახად პასუხის გაცემა საკმაოდ ძნელია...

ონკოლოგიას, რომლის მსხვერპლი დედამიწაზე ყოველწლიურად 7,5 მილიონი კაცი ხდება, ზოგიერთი ექიმი „თვითგანადგურების მექანიზმს“ უწოდებს, რომელიც თაობათა ცვლის განხორციელების საშუალებას იძლევა. აქტიური რეპროდუქციული პერიოდის, ანუ 40 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, ავთვისებიან სიმსივნეთა პროცენტი ზვავისებურად მატულობს. რაც უფრო დიდი ხანი ურთიერთობს ადამიანი კანცეროგენებთან, მით უფრო მეტ დაყოფის ციკლს გადიან მისი უჯრედები და, შესაბამისად, მით უფრო მეტია კოპირებისას გენეტიკურ ინფორმაციაში შეცდომის დაშვების ალბათობა.



ამავე დროს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ონკოდაავადებათა რიცხოვნობა ასევე მატულობს ბავშვებსა და მოზარდებში. მაგალითად, ბოლო დროს საშოს ყელის კიბო სოციალურ პრობლემად იქცა. ადრეული სექსუალური კონტაქტები, უწესრიგო სქესობრივი კავშირები გოგონების პაპილომის ვირუსით დაავადებას იწვევს, რომელიც გარანტირებულად „რთავს“ კიბოს გენეტიკურ კოდს. გამოდის, რომ **რაც უფრო მეტია სიცოცხლის ხანგრძლივობა, რაც უფრო მეტია სოციუმში სექსუალური თავისუფლების ხარისხი, მით უფრო აქტუალური ხდება ონკოლოგიის პრობლემა.** მაგრამ იქ, სადაც მედიცინა კარგად ფინანსდება, მოსახლეობა კი ჯეროვნადაა ინფორმირებული შესაძლო პრობლემების თაობაზე, საკმარისად ზრუნავს საკუთარ ჯანმრთელობაზე და შეუძლია ძვირადღირებული სამკურნალო პრეპარატების მოხმარება, სიკვდილიანობა მცირდება. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 100 ათას მოსახლეზე ონკოლოგიის მიზეზით, საშუალოდ 105,8 კაცი კვდება, ევროკავშირში – 117,1.

პაციენტების ნახევარი დახმარების მისაღებად მედიკოსებს ონკოდაავადებათა ბოლო სტადიებზე მიმართავს. თანაც, თუ დასავლეთში პრობლემის შესახებ ამბის დაგვიანებით გაგებისა ეშინიათ, ჩვენში ამის დადგენას ლამის „ბოლო დღემდე“ „ჭიმავენ“. არადა, **ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ამგვარი შიში ირაციონალურია, საკუთარი ჯანმრთელობის შემოწმება პირველივე სიმპტომების გაჩენისთანავეა საჭირო, კიდევ უკეთესი კი – მათ გაჩენამდე.** არადა, ეს რჩევა მაშინ „მუშაობს“, როცა პაციენტი ფინანსურად უზრუნველყოფილია, მაგრამ თუკი მთელი იმედი მხოლოდ, ვთქვათ, საყოველთაო დაზღვევაზეა, პროფილაქტიკური დათვალიერება, შესაძლოა, დროის ფუჭად ხარჯვა აღმოაჩნდეს.

უჯრედის გენეტიკური ინფორმაციის დამახინჯების ყველაზე სახიფათო ფაქტორებია თამბაქოს მოწევა და მაიონიზებელი რადიაცია. მერე მოდიან სიმსუქნე, ჰიპოდინამია, მზეში ჭარბად ყოფნა, ალკოჰოლის ზომაზე მეტად მოხმარება, ზოგიერთი ბაქტერიული და ვირუსული დაავადება. ჰარვარდელ მეცნიერთა ბოლო გამოკვლევებით კი ამ ნუსხას ახლა ულტრადამუშავებული კვების პროდუქტებიც დაემატა. ესენია კერძოდ, შენახვის დიდი ვადის მქონე ნამცხვრები, ტკბილი ან მარილიანი მისაყოლებელი (სნეკები, ჩიფსები, კრეკერები და ა.შ.), გაზიანი და დატკბილული სასმელები, ვერმიშელი და სწრაფი მომზადების წვნიანები, გაყინული მზა კერძები (პიცა, ბურგერები, ნაგეტსები, კატლეტი და სხვ.).

გარდა ამისა, არის კიდევ მუტაციები, რომლებიც უშუალოდ არც ცხოვრების ნირს, არც საკვების რაობას არ უკავშირდება. **ავთვისებიან სიმსივნეთა ნახევარზე მეტი „სპონტანურად“, ანუ კანცეროგენების აშკარა ზემოქმედების გარეშე, ანდა ისეთი კანცეროგენების ზეგავლენის შედეგად წარმოიშვება, რომელთა ზემოქმედებისგან თავის დაცვა შეუძლებელია. მაგალითად, მსხვილ ნაწლავში საკვების ცილოვანი ნარჩენების ხრწნის პროცესში წარმოშობილი პროდუქტების, ანდა ბუნებრივი რადიაციული ფონის ზეგავლენით.**

ამასთანავე, ისიც აღსანიშნავია, რომ ავთვისებიან სიმსივნეთა წარმოშობის მიზეზი შეიძლება გახდეს ასევე **მემკვიდრეობითი გენეტიკური დაავადებები.**

ყოველივე ზემოთქმული, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ კიბოსგან დამცველი არც აცრა არსებობს, არც რაიმე სასწაულმოქმედი წამალი, არც იმის ასპროცენტიანი გაგება, თუ რა ხდება ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, როგორია სნეულების „ჩამრთველი“ მექანიზმი. პრობლემას ასევე ის ამძაფრებს, რომ ჩვენში არ არის ხარისხიანი კანცერ-რეგისტრი, ანუ სნეულების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გამოვლენისას, დადგენისას, დიაგნოზის დაზუსტებისას, მკურნალობისას, რეაბილიტაციისას, დისპანსერიზაციისას მისი მონიტორინგი არ გაგვაჩნია. არადა, ონკოლოგიური ავადმყოფობისას დრო ხშირად სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. ჩვენში კი, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, ისე ხდება, რომ დიაგნოზიც დასმულია, მკურნალობის სქემაც დადგენილია, წამლის ლოდინს კი თვეები სჭირდება, ვინაიდან საკუთარი სახსრებით მისი შეძენა, პრაქტიკულად, ერთეულებს თუ შეუძლიათ.

არადა, ექიმები ერთხმად გაიძახიან, რომ მიშვებული სნეულების განკურნვა გაცილებით ძნელია და ძვირადღირებული...

მოამზადა
ნინო ალექსანდრიამ

ახალი ჩიპი კიბოს დიაგნოზს 15 წუთში სვამს

ინგლისურენოვანი „Flanders Today“-ში გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, Leuven Nanoteknoloji-ს **კვლევის ცენტრის თანამშრომლების მიერ ოთხწლიანი კვლევის შემდეგ გამოგონებული ჩიპი ერთჯერადი სისხლის ტესტით 15 წუთში ადგენს, ადამიანის ორგანიზმში არის თუ არა კიბოს უჯრედი.**

ადამიანისგან აღებული სისხლის ნიმუშის ტესტის მილში მოთავსებული ჩიპი ძალიან მცირე ზომის ციფრული კამერის როლს ასრულებს და რამდენიმე წუთში თითოეული უჯრედის გამოსახულებას იძლევა.

ამ გამოსახულებების კომპიუტერში ანალიტიკური ალგორითმის გამოკვლევით დგინდება, უჯრედებს აქვთ თუ არა სიმსივნე.

ეს მეთოდი უკვე გამოიცადა ავადმყოფებზე და კარგი შედეგები მიიღეს. კვლევის ჯგუფის ხელმძღვანელის ლისბეტ ლაგას თქმით, რამდენადაც ადრე დაისმება დიაგნოზი, იმდენად უფრო უკეთესი შედეგები მიიღება.

სანთელი

შალვა მგალობლიშვილი, ჟანა, ნონა, თემურ ბრელიძეები, ქეთო გედენიძე, მარინა კანდელაკი ოჯახებით თანაუგრძნობენ ფოთოლა და თენგიზ კალანდაძეებს დისა და ცოლისდის

ნანული ბოხუას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს გინეკოლოგ-ონკოლოგთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი გინეკოლოგ-ონკოლოგი, მედიცინის დოქტორი, საუკეთესო მეგობარი

ირაკლი ცინცაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნოდარ ემუხვარი ოჯახით უსამძიმრებს უსაყვარლეს და უახლოეს მეგობარს ვახტანგ რეხვიაშვილს და მისი ოჯახის ყველა წევრს მამის, ღირსეული პიროვნების, ცნობილი მეცნიერის, პროფესორ

ირაკლი რეხვიაშვილის

გარდაცვალების გამო.

ზურაბ ვადაჭკორია გარდაიცვალა

ცნობილი ქართველი ილუზიონისტი ზურაბ ვადაჭკორია 57 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ზურაბ ვადაჭკორია ერთი წლის განმავლობაში ურთულეს დაავადებას ებრძოდა, ბოლო პერიოდში თავს კარგად გრძნობდა, თუმცა, ოჯახის წევრების ინფორმაციით, ინსულტი განმეორდა.

ზურაბ ვადაჭკორია 18 წლიდან ეზიარა სცენურ ხელოვნებას. 1986 წელს შეიქმნა თბილისის ილუზიონისტთა კლუბი, რომლის პრეზიდენტიც ზურაბ ვადაჭკორია გახდა.

1991 წელს თბილისის რუსული მოზარდ მაყურებელთა თეატრის ბაზაზე შეიქმნა „მაგიური შოუ“, სადაც საათნახევრის მანძილზე მაყურებელი სანახაობის მონაწილეც იყო. იმავე წელს ზურაბი გაწევრიანდა „International Brotherhood of Magicians“-ში („მაგების საერთაშორისო საძმო“).

1997 წელს ზურაბმა სახელმწიფო ტელევიზიაში დასაბამი დაუდო ნახევარსაათიან პროგრამას „ფოკუს-მოკუსი ყველასათვის“.

ზურაბ ვადაჭკორიას ქართულ ენაზე დაბეჭდილი აქვს 4 წიგნი. მათში ავტორი არა მარტო ახალ ფოკუსებს სთავაზობდა მკითხველს, არამედ განმარტავდა ძველ ცნობილ ტრიუკებს.

განცხადება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულებში სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ პოზიციებზე:

- **ბიოქიმიის განყოფილება** - მეცნიერ-თანამშრომელი (1 ერთეული „ბ“ კატეგორია);
- **რადიობიოლოგიის განყოფილება** - მეცნიერ-თანამშრომელი (1 ერთეული „ბ“ კატეგორია);

მეცნიერ - თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

1. განცხადება, განყოფილების/ლაბორატორიის, დასაკავებელი პოზიციისა და კატეგორიის მითითებით;
2. განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. კალენდარული ავტობიოგრაფია - CV, მასში მოყვანილი ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლებით;
4. დიპლომების ასლები;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების ჩამონათვალი (არსებობის შემთხვევაში);

კონკურსი ჩატარდება გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით;

არასრული და არასწორი ინფორმაციის მოწოდების შემთხვევაში კანდიდატურა არ განიხილება;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარმოდგენის ვადაა 2018 წლის 3 აპრილიდან 16 აპრილის ჩათვლით;

კონკურსი ჩატარდება 2018 წლის 18 აპრილს;

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ : 0160, თბილისი, გოთუას ქუჩა N 14, მე-2 სართული,კანცელარია.

საკონტაქტო პირი - მარიამ ირემაშვილი, ელმირა მეგედი, ნინო ემუხვარი;

e-mail – secretary@lifescience.org.ge;
ტელ: 2 37 03 00 (227,(229) 225).

გილოცავთ!

ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირის წევრები, ახლო ნათესავები და მეზობლები მშობლიური ბოსლევიდან: **მამია, ზურაბ, რობერტ, დოდო, ლამარა, ლომარი, ბონდო, ბორია, მეგონა, ვახტანგ, ეთერ, მურმან, დემურ, დათუნა, კოლია, მერაბ, გრიგოლ, ზურიკო, თემურ, ნუკრი, გია, იზოლდა, გოგიტა, სპარტაკ, მანანა, რატი ჭუმბურიძეები; რუსიკო ღამბაშიძე, ვოვა მიქაბერიძე; ტარიელ და გოგილო ღავთაძეები; თინიკო და ბორიკო მახათაძეები; ათოსი ჩაფიძე** უძვირფასეს და უკეთილშობილეს ქალბატონს

ლია ჭუმბურიძეს

ვულოცავთ დედის დღეს.

ჩვენო საყვარელო ლია, მრავალი წელი მოგველოცოს ეს დღესასწაული თქვენს უმშვენიერეს ქალიშვილთან, უკვე ცნობილ ექიმთან თამრიკო ბარელაძესთან ერთად. გიხარე საყვარელო რძლების, სიძეების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების ბედნიერი მომავლით. თქვენ, დამსახურებულ ექიმს, უფალმა სხვისი განკურნვის, სიცოცხლის ჩუქების მისია დაგაკისრა და ნიჭი მოგცა. ამიტომ, დიდხანს უნდა იცოცხლოთ და იდღეგრძელოთ.

იცით თუ არა, რომ...

• გარკვეულ მუსიკალურ ფონს კაცი მადაზე მოჰყავს, ამ მხრივ ყველაზე ეფექტიანია ჯაზი და ჰიპ-ჰოპი, რაც იმასთანაა დაკავშირებული, **რომ მუსიკა თავის ტვინის გარკვეულ უბნებზე მოქმედებს, რის შედეგადაც საჭმელი გაცილებით გემრიელი ხდება?**

• თავდაპირველად წითელი არმიის ოფიციალური ემბლემა ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავი იყო, რომლის ცენტრში გუთანი და ურო იყო მოთავსებული და იმის გამო, რომ მისი ტარების განმარტება არ არსებობდა, ბევრი წითელარმიელი ვარსკვლავს ორი ზევით მიმართული ქიმით ატარებდა, რაც სატანისტური ნიშანია?

• თეთრ დათვს ესკიმოსები „ნანუკას“ ეძახიან?

• მონღოლეთში ერთ კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიაზე ორი კაცი ცხოვრობს?

• ჩინეთის მთავრობამ აფრიკაში არენდით სამი მილიონი ჰექტარი მიწა აიღო, სადაც 500 ათასი კაცი გადასახლდა?

• ჰოლივუდელ პროდიუსერთან ჰარვი ვაინშტეინთან დაკავშირებული სექს-სკანდალი სრულ აბსურდამდე მივიდა: 90 წელს გადაცილებულმა ჯინა ლოლობრიჯიდამ „გაიხსენა“, რომ ნახევარ საუკუნეზე გაცილებით მეტი ხნის წინათ „ზოგ-ზოგიერთებს“ „ფიზიკური სიახლოვე“, თურმე, მასთანაც სურდათ?

გერმანია მალე ელექტრო-ავტობუსებზე გადავა

ევროკომისიამ უკვე დაამტკიცა გერმანიის მიერ მომზადებული ელექტროავტობუსების და დასატენი ინფრასტრუქტურის მხარდაჭერის გეგმა, **რითიც საბოლოო ჯამში საგრძნობლად შემცირდება ნახშირბადის გამონაბოლქვი.**

ასე რომ გერმანიამ, 2021 წლის ბოლოსთვის საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის ფარგლებში, ელექტროენერგიაზე მომუშავე ავტობუსების ექსპლუატაციისა და მათი დასატენი სადგურების მშენებლობისათვის 70 მილიონი ევრო უნდა გამოყოს. აღნიშნული თანხა შეესაბამება ევროკავშირის საზოგადოებრივი მხარდაჭერის წესებს და პირობებს.

პიკასოს საყვარლის პორტრეტი 69,4 მილიონ დოლარად გაიყიდა

ცნობილი ესპანელი და ფრანგი მხატვრის პაბლო პიკასოს საყვარლის პორტრეტი „ქალი ბერეტით და კუბოკრული კაბით“ ლონდონის „Sotheby's“ აუქციონზე 69,4 მილიონ დოლარად გაიყიდა. იუწყება გაზეთი „The New York Times“.

სურათი 1937 წლის 4 დეკემბრითაა დათარიღებული. მასზე მხატვრის საყვარელი და მუზა მარია-ტერეზა ვალტერია გამოხატული, რომელიც მასზე 28 წლით უმცროსი იყო. იმ დროისთვის მათი ურთიერთობა უკვე კრიტიკულ ზღვარზე იყო. ვალტერს, რომელსაც მხატვრისგან გოგონა შეეძინა, კონკურენციას უწევდა დორა მაარი, რომელიც საბოლოოდ პიკასოს საყვარელი გახდა.

დღვანდელი დღის მონაცემებით, პიკასოს ყველაზე ძვირადღირებულ სურათად მიიჩნევა „ალჟირელი ქალები“, რომელიც 2015 წელს 179,3 მილიონ დოლარად გაიყიდა.

ხიჯაბის მოხსნისთვის, სამ მუსულმან ქალს 180 ათას დოლარს გადაუხდიან

ნიუ-იორკის ხელისუფლება სამ მუსულმან ქალს, რომელსაც პოლიციამ ხიჯაბის მოხსნა აიძულა, კომპენსაციის სახით 180 ათას დოლარს გადაუხდის.

ქალებმა სასამართლოს მიმართეს მათი რელიგიური უფლების დარღვევისთვის. მაგრამ საქმე დაიხურა ბრალის წაუყენებლად. წერს „The New York Times“.

ცნობისთვის, პირველი შემთხვევა ჯერ კიდევ 6 წლის წინათ მოხდა, როცა დამცირებისთვის დაკავებული სკოლის მოსწავლე განყოფილებაში მიიყვანეს, სადაც მოსთხოვეს ხიჯაბი მოეხადა, რათა გადაეღოთ სურათი მონაცემთა ბაზისთვის. სამი წლის შემდეგ კიდევ ერთმა მუსულმანმა ქალმა, რომელიც დაკავებული იყო კანონდარღვევისთვის, უარი თქვა ხაჯიბის მოხსნაზე და განმარტა, რომ არ შეუძლია სახე გამოაჩინოს მამაკაცის წინაშე, რომელიც არაა მისი ოჯახის წევრი, თუმცა მასაც აიძულეს თავსაბურავის მოხდა. მესამე შემთხვევის შესახებ დეტალები არ ვრცელდება.

ქალაქის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის სპიკერმა განაცხადა, რომ „დავა მოგვარდა ყველა მხარის ინტერესებიდან გამომდინარე“ და თითოეული დაზარალებული კომპენსაციის სახით 60 ათას დოლარს მიიღებს.

წარმოადგინეს „მფრინავი“ იახტა

არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში „მფრინავი“ იახტა Foiler შექმნეს, **რომელსაც გადაადგილებისას ჰაერში 1 მეტრის სიმაღლეზე ასვლა შეუძლია. იახტა აღჭურვილია ნახშირჟანგის წყალქვეშა ფრთებით და ორი ჰიბრიდი ძრავით.**

იახტის სიგრძე 9,5 მეტრია, ხოლო მისი გარშემოწერილობა 3,3 მეტრი. იახტას შტორმისას და ღელვისას ზღვაზე ფრენა 1,5 მეტრის სიმაღლეზე შეუძლია. ფრენისას მისი სიგანე 7,2 მეტრს აღწევს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4692; ევრო - 3.0179;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4260;
100 რუბლი - 4.3876; თურქული ლირა - 0.6492;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4539;
1000 სომხური დრამი - 5.1260.

ამინდი 2 მარტისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -1, დღე +10
მთიანი რაიონები - ღამე -5, დღე +5
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე 0, დღე +12
მთიანი რაიონები - ღამე -2, დღე +6
თბილისი: ღამე +2, დღე +9

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge